# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.


ეროვნული ბიბლიოთეკა


**რედაქცია და კანტორა:**

თბილისი, რუსთაველის პრ. ასპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფ. № 15—73.
მისამართი დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო“ ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**

განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
**ხამგლოვიარო** განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**

გაზეთი „საქართველო“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

წელიწადი მეექვსე. **ხუთშაბათი ენკენისთვის 9. 1920 წ. № 95** ფასი 10 მანეთი



## ეროვნულ-დემოკრატიული
### ×× პარტიის მთავარი კომიტეტი ××

მოთავსებულია კვლავ მველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—11 და საღამოს 7—9 საათამდე.

---

თავზარ დაცემული ანტონ იესეს-ძე მამინაიშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გამოესალმა წუთისოფელის მისი საყვარელი მეუღლე

**მარიამ (მანია) აბესალომის ასული მამინაიშვილისა**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 ს. გამოსვენება ხუთშაბათს 9 ენკენისთვე დილის 9 საათ. ბინიდან პეტრე-დიდის ქუჩა № 25ლ 1-113

---

ღრმად დამწუხრებულნი ელიუსა დიმიტრის ასული და ილიკო ივლიანეს-ძე მამულაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გამოესალმა წუთისოფელს მათი პირველი საყვარელი დედა და მეორის სიდედრი

**მარიამ (მანია) აბესალომის ასული მამინაიშვილისა**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათ., გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიაში ხუთშაბათს დილის 9 ს. ბინიდან პეტრე-დიდის ქ. № 25 2-1 3114

---

საზაფხულო **ქართული კლუბი** თეატრი

გაზეთ **„შრომის“** სასარგებლოთ

10 სექტემბერს, პარასკევს.

## გრანდიოზული კონცერტი
## საიანოვა

სეირნობა ბაღში ლატარია, აუარებელი ფასიანი ნივთები, პტი-შვო და სხვა გასართობები.

**კონცერტი**

ა. ცეკვა—დადგმა ნ. გ. ბეგთ-ბეკოვისა:
1. „გოლდენ ფოქ ტროტ—ვ. ვ პრივოლოვისა, გ. ბ. ნიკოლსკი
2. მონის ტანგო (ფრესკები)—მ. ი. ციციანოვისა, გ. ბ. ნიკოლსკი.
3. „სოლო“—ლ. ფ. ხემიონოვისა.
4. „პას დე დეუქ“—ლ. ფ. ხემიონოვისა, გ. ბ. ნიკოლსკი. როიალთან—ნ. გრიქუროვი.

ბ. ბოშთა (ციგანთა) სიმღერები—თამარა წერეთელი როიალთან—ბ. პროზოროვსკი.

გ. როიალი (ბეთჰოვენი, ლისტი, შოპენი)—ხ. მ. პ. ჩემოდანოვი.

ვახშამი ღამის 3 საათამდე. დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი სღ. 8 საათზე საღამოს დიასახლისი ო. ს. ხვანიშვილისა 1—3116—1

---

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს,

**თბილისის ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენში“**

განათლების სამინისტროს ნება დართვით

## გაიხსნება 8 თვიანი უფასო ქართული
## ტან-ვარჯიშული სკოლა

სკოლაში მიიღება ორივე სქესის პირები, საშუალო განათლებით აღჭურვილნი არა უმცირესნი 18 წ-ისა და ჯანსაღნი. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე შეიძლება ჩაირიცხონ საშუალო სასწავლ. 6 კლასის და ბოლოს 4 კლასის კურს-დამთავრებულნი. სწავლა იწარმოებს დილის 8 ს.—1-ლ საათამდე.

ყველა კურს დამთავრებულთ მიეცემათ შტატის ადგილი ტან-ვარჯიშობის მასწავლებლისა რესპუბლიკის სასწავლებლებში.

თხოვნები, სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ, მიიღება ყოველ დღე დილის 12 დან—1 საათამდე არა უგვიანეს 15 სექტემბრისა განათლების სამინისტროში ტან-ვარჯიშობის მთავარ ინსტრუქტორის სახელზე. თხოვნასთან უნდა იქნას წარმოდგენილი მოწმობები: 1) განათლების შესახებ და 2) მეტრიკული.

სწავლის დაწყებამდე ყველა გაშინჯულ იქნებიან ექიმის მიერ.

ტანვარჯიშობის მთავარი ინსტრუქტორი.

12—1 6—6

---

საჭიროა

## მოსამსახურე ქალი.

მოიკითხეთ „საქართველოს“ კანტორაში. 4—7—

---

××●×× საზოგადოების საყურადღებოთ ××●××

## დავით იაგორის-ძე კალანდაძე

აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ სარექტიფიკაციო ქარხანა

## კონიაკის, არაყის და ლიკიორის

**ნ. აივაზოვისა**, ყოფილი სავაჭრო სახლი ამხ. **სეილანოვებისა** პირველ მარიამობისთვიდან გადმოვიდა მის საკუთრებათ. ახლო ხანში სასმელები გამოვა **კალანდაძის** ფირმით—სადგურის ქ. № 5, სახლი სომხების სასულიერო სემინარიისა.

27


## შტატები.

მთავრობამ განიზრახა სასწრაფოდ გადახედოს და შეამციროს მის მოსამსახურეთა შტატები. შტატების სიმრავლეს ბ-მა ჟორდანიამ პირველად ყურადღება მიაქცია იმ თავის მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა პარტიულ ყრილობაზე 22 თებერვალს 1919 წელს. ეს მოხსენება შემდეგ დაედო საფუძვლად დამფუძნებელი კრების და მთავრობის კომპეტენციასა და მათი მოქმედების ფორმას. ბ-ნი ჟორდანია აღნიშნავდა, რომ არსებული აპარატი მძიმე ლოდათ აწვა რესპუბლიკას და მას ხელ ფეხს უბორკავდა, რომ თვით საფრანგეთშიც, დიდი რევოლიუციის დროს, შვიდ სამინისტროზე მეტი არ იყო. ბ-ნი ჟორდანია აპარატის შემსუბუქებას გეგმას იძლეოდა და ჰგონებდა, რომ სამი სამინისტრო საქართველოსთვისაც სრულიად საკმარისი იქნებოდა და ასახელებდა შემდეგ სამ სამინისტროს: თავდაცვისა, შინაგან მმართველობისა და სახალხო მეურნეობისას, რომელთაგან თითეული რამოდენიმე დეპარტამენტს შეიცავდა; აპარატის მოქმედების გაადვილება—გაერთიანების და ხარჯის შემცირებისათვის ყველა ეს სამინისტრო ერთ შენობაში უნდა მოთავსებულიყო. სოც. დემ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, კამათის შემდეგ, მიიღო ბ-ნ ჟორდანიას ეს მოსაზრებანი.

მართლაც, დამფუძნებელი კრების მოქმედების დაწყების შემდეგ მთავრობა შეუდგა ბ-ნ ჟორდანიას გეგმის განხორციელებას; სამინისტროების რიცხვი შემცირდა და დეპარტამენტები ვამრავლდა. მართვა-გამგეობის ამ გვარმა აშენებამ დიდხანს ვერ გასძლო. ბევრი სამინისტრო პირსისტების აღმოჩნდა; პირადმა მეტოქეებმა თავისი არასასიამოვნო „ძლიერება“ გამოიჩინეს და ამას უნდა ანგარიში გაეწეოდა ბ-ნ ჟორდანიაც შეუდგა თავისი სისტემის დარღვევას... დღეს არც სამინისტროები გვაკლია და არც დეპარტამენტები. ორივე თავზედ საყრელი გვაქვს; ზოგ სამინისტროს მინისტრის ამხანაგი ერთის მაგივრად ორი ჰყავს...

ცხადია, დაბალი პოსტების კანდიდატი უამრავი იქნებოდა იმ ქვეყანაში სადაც ასე ბევრი აღმოჩნდა სამინისტრო კაცები.

და მართლაც აუარებელი კანდიდატი მოაწყდა დაწესებულებებს,—ყველამ თავისი მოითხოვა; ამის უფლებაც ჰქონდათ: ზოგს უფლება ამხანაგური, ზოგსაც რევოლუციური. საქმეს ის უფრო აადვილებდა, რომ არც ცოდნა-განათლების ცენზი იყო საჭირო და არც გამოცდილების საბუთები. და რესპუბლიკის დაწესებულებებიც, ამ ხალხით აღივსო. შედიხ თუ არ ჩვენი დაწესებულებების კარებს, გაოცებს მოსამსახურეთა სიმრავლე. ხუმრობით ირევაო, რომ იტყვიან, სწორედ ის არის. ამ ხალხს დამჯდარს მხოლოდ ჩაის სმის დროზე ნახავთ, და საქმეზე—კიდევ პურის მიღების დროსა, თორემ ისე, ან სამინისტროების კორიდორებში ბოლთას სცემს, ან კიდევ რომელსამე ოთახში შეგროვდება და იქ მასლაათობს. ღატაკ ხაზინას დიდძალი ფული ეხარჯება ამ პერსონალის შენახვაზედ, მოსამსახურეთა სიმრავლე თავის თავად ხელს უშლის შრომის ნაყოფიერებას და იმ ზოგიერთი იშვიათი პირის მუშაობას, რომელსაც ცოდნაც შესწევს, და მოვალეობის შეგნებაც აქვს. ამდენი მუქთა ხორას ამ ჟამად ჰრყვნის საზოგადოებრივ განწყობილებას; სალერღელი აქვს აშლილი ყველა უვიცსა და გამოუცდელს, რომელსაც კი რაიმე ახალ დროის დამსახურება მიუძღვის, იცხოვროს ხაზინის ხარჯზე ფულითაც და ნატურითაც.

გუშინდელი „ერთობა“ აღნიშნავდა რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო სამსახურში ბევრი ზედმეტი ხალხი ჰყავს დაბანდული და რომ აქ ნამდვილი სინეკურა იყო გამართული. მეტ ბარგი ხალხი უფრო სჭარბობს ჩვენს საშინაო დაწესებულებებში. სინეკურა აქაც ფესვებ-გადგმულია.

ვისაც ჩვენი ღარიბი ხაზინა მართლაც ებრალება და სურს სამმართველო აპარატიც გააჯანსაღოს, მან უწინარეს ყოვლისა, ჩვენი დაწესებულებები უნდა დასცალოს მეტბარგი: უვიცი და მუქთახორა ხალხისაგან. ამასთან ერთად საჭიროა დროშ უკან დაუბრუნოს ცოდნა-განათლებასა და გამოცდილებას ის პატივი და უფლება, რომელიც მას წაართვა რევოლიუციამ. მაშინ უფრო რიგიანი ხალხი შერჩება სამსახურს. მაგრამ, ყველა ამისთვის საჭიროა ახალი „რევოლიუცია“ და ჩვენ გვეეჭვება მთავრობამ ეს შესძლოს.

## კიდევ ტერიტორიულ საკითხისათვის.

ამას წინად ჩვენ ვწერდით იმ ანორმალ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც არსებობს საქართველოსა და აზერბაიჯანის შორის და აღვნიშნავდით, რომ ეს მოვლენა უმთავრესად გამოწვეულია ტერიტორიულ საკითხის მოუწესრიგებლობით. ჩვენ აგრედვე ვამბობდით იმასაც, რომ რესპუბლიკის საზღვრები ოთხსავე მხრით შესწორებას მოითხოვენ სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების მიხედვით. საქართველოს მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობიანობის სურვილით არის აღსავსე, მაინც ვერ ახერხებს ამ საკითხების სათანადოდ გადაჭრას და თავიდანვე მოექცევდა ერთგვარ მოჯადოებულს წრეში, რომელსაც ვერ იქნა და ვერ მოსცილდა. მთავრობამ ამ ზაფხულს სამშვიდობო ხელშეკრულება დასდო აზერბაიჯანთან და იმედოვნებდა რომ ამ აქტს მოჰყვება ძველ გაუგებრობისა და შუღლის უკუგდება, მთავრობა სასტიკად მოსტყუვდა! „წითელი“ აზერბაიჯანი ისეთივე უპირო კონტრაგენტი გამოდგა, როგორც მისი წინამორბედი—მუსავატელი...

ასეთივე საოცარი დამოკიდებულება ჰსუფევს ჩვენსა და სომხეთს შორის: ამ სახელმწიფოსთანაც გვქონდა შეიარაღებული კონფლიქტი, მასთანაც ვაწარმოებდით სხვა და სხვა მოლაპარაკებას, ვსდებდით ხელშეკრულებებს, ხშირად ვეფიცებოდით ერთმანეთს ერთგულობასა და დახმარებაში, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ყველა ამ ამბების შემდეგ სამხრეთ მეზობლებთან დაკავ ამოგვეწუროს.

დღესაც იძულებული ვართ გავიმეოროთ ის შეურყეველი შეხედულება, რომელიც არა ერთჯერ გამოგვითქვამს „საქართველო“-ს ფურცელზე: ვერც ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან ვერ შევქმნით მეგობრულ განწყობილებასა და ნორმალ ურთიერთობას, უკეთუ უმთავრესი სადავო მომენტი ჩვენსა და მათ შორის გადუწყვეტელი დარჩა! უმიზნოა შეთანხმება ფინანსიურ, ეკონომიურსა და სხვა თუნდაც უფრო დიდმნიშვნელოვან საკითხებში, თუ სახელმწიფო საზღვრები კატეგორიულად არ არის ამოხაზული. ტერიტორიის საკითხის მნიშვნელობას ყველანი ჰგრძნობდენ და დარწმუნებულიც არიან ხელმძღვანელ წრეებში, რომ ამ საკითხის გადუჭრელად წარმოუდგენელია მომიჯნავე სახელმწიფოთა კეთილმეზობლობა, მაგრამ პრაქტიკულ ნაბიჯის გადადგმა აგრედვე ყველას ეძნელება... საჭიროა ვთქვათ, რომ დრო არის ეხლა მაინც ბოლო მოეღოს ამ უწესრიგობას და მით მოვსპოთ მეზობელ რესპუბლიკათა შორის შუღლის მთესველი გარემოება!?

ინგლისელებმა დაგვიტოვეს მეტის მეტად გადახლართული მემკვიდრეობა! ჩვენი მოვალეობაა დაუყონებლივ შეუდგეთ ამ უცნაურ „ზონის“ მოწესრიგებას მცხოვრებთა ინტერესების მიხედვით და ჩვენი სამშობლოს მომავლის უზრუნველსაყოფად...

ტერიტორიის საკითხას სიმწვავემ ხელახლად იჩინა თავი და სახელმწიფოს მმართველნიც მოვალენი არიან პოლიტიკის „დღიურ წესრიგში“ ეს საკითხი პირველ რიგში დასვან. ტერიტორიული დავა უნდა გადიჭრას საერთოდ და ყველა სახელმწიფოთა მიმართ, ვისთანაც მომიჯნეობა ჰქვდა საქართველოს.

ტერიტორიული საკითხით არ უნდა ვიყვნეთ დაინტერესებულნი მხოლოდ მაშინ, როდესაც კონფლიქტი შეეხება ამა უთ იმ განსაზღვრულ სახელმწიფო ერთეულს, როგორც ეს სჩვევია თბილისის ერთ რუსულ გაზეთს: საქართველოს უდავო უფლებაზე მისი პუბლიცისტები მაშინაც უნდა სწერდნენ, როდესაც სადავო საკითხი ეხება იმ „ეთნიურ კათეგორიასაც“, რომელთანაც ამ გაზეთის ზოგიერთი ხელმძღვანელი ჰიპერტროფიული გრძნობით არის შეპყრობილი...

ტერიტორიის საკითხის გამოურკვევლობამ საკმაოდ მოწამლა ამიერკავკასიის ატმოსფერა. დღევანდელ პირობებში მისი გადაწყვეტა უფრო შესაძლებელიც არის და ადვილიც: „მესამე ძალა“ ფაქტიურად ველარ ჩაერევა მეზობელთა დავაში და, მაშასადამე, მოსაზღვრე სახელმწიფონი მეტის დამშვიდებით და დაკვირვებით შეუდგებიან ურთიერთ მიწაწყლის განსაზღვრას.

სომხეთისა და საქართველოს შეთან-

# დ ღ ე ს

ვრანგელი შეტევას განაგრძობს.

პოლონეთის მთავრობამ აცნობა ერთა ლიგის პრეზიდიუმს რუსეთ პოლონეთის დროს ლიტვის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევა

ვრანგელი საიმპერიო რუსეთის გენერლებთან მოლაპარაკებას აწარმოებს მრავალრიცხოვან არმიის შესადგენად.

რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკება სექტემბრის 9-ს დაიწყება.

ბოლშევიკური ცნობით წითელ არმიელებმა კამენეც ლიტოვსკი აიღეს.

,,იზვესტია‘‘-ს ცნობით რუსეთ-გერმანიის კავშირი ახლო მომავალში მოხდება.

ფრანგული პრესა მოკავშირეთათვის დიდ საფრთხეს ხედავს რუსეთ-გერმანიის კავშირში.

ახალმა რადიო სადგურმა პირველი დეპეშა გამოაქვეყნა.

ამერიკის სოციალისტებმა ერთხმად უარჰყვეს საბჭოთა მთავრობის სისტემა სოციალიზმის დასამყარებლად.

პოლონეთში არსდება ქართულ ეროვნული საბჭო კურულაშვილის ინიციატორობით.

## წერილები:

მეთაური: შტატები.
რ. ინგილო: კიდევ ტერიტორიული საკითხი.
პრესა.
ტ. მ ახალი ნაბიჯი.
ჩვენი კორესპონდენტები:
ს. კარბი, შორაპანი, ივრის ხეობა. გ. ფელეტონი: რუსეთის პრობლემა.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ.

„ახალ სხივზე"

გაზეთი გამოდის გრიგოლ გიორგაძის რედაქტორობით, ღირს თვეში 20 მან. ფული უნდა გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, პეტრე დიდის ქუჩა ,,ახასხივს‘‘ 6—3

გაზ. „საქართველოს" კონტორა

ამით აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ გაზეთი თვიურად ღირს 300 მან. ვისაც ამაზე ნაკლები აქვს შემოტანილი და ხვედრ ფულს დროზე არ გადაიხდის, გაზეთის გზავნა მოესპობათ.

ხმებამ „ნეიტრალურ ზონის" შესახებ ბუნებრივად გამოიწვია საკითხი ტერიტორიული გადამიჯვნისთვის. ამან უკვე ჰპოვა გამოძახილი პრესაში; ამავე საკითხს ეხება სომხის გაზეთი „ნორ-აშხატავორი" უკანასკნელ ნომერში, რომელსაც მკითხველი გაეცნობა ჩვენს გაზეთში ქვემოდ. მიუხედავად თავისებური არგუმენტაციისა, „ნორ-აშხატავორი‘‘ მაინც სამართლიანად შენიშნავს, რომ ყველა წინასწარი შეთანხმება პალიატივად დარჩება, რადგანაც სიმძიმე ტერიტორიულ საკითხისა უნდა ვპოვოთ მის რადიკალურ გადაჭრაში ამა თუ იმ სახით.

მაშ, რა გარემოება აბრკოლებს მომწიფებულ საკითხის გადაწყვეტას? ვინ, ან რა გვიშლის ხელს? „ერთობის" თქმით კიდევაც გვქონია ,,ამ საგანზე შემუშავებული და ორივე მხრისაგან მიღებული ფორმულა, რომელიც გვაძლევს საშუალებას ეს კითხვა მოვაწესრიგოთ ან შეთანხმებით, ან არბიტრაჟით".

საფიქრებელია, რომ ასეთივე ფორმულა მიღებულია ჩვენი საზღვრებისათვის აღმოსავლეთის მხრითაც და თუ ასეა დაყოვნება დანაშაულობათ ჩაეთვლებათ სახელმწიფოს გამგებელთ.

რ. ინგილო.

## პრესა.

### ,,ნორ-აშხატავორი‘‘

,,ნორ-აშხ.‘‘ 8 ენკენისთვის მეთაურ წერილში ეხება სომეხ-ქართველთა დელეგაციის შეთანხმებას ნეიტრალურ ზონის შესახებ და სწერს:

,,დაახლოვებით ორი წლის განმავლობაში წარმოებულ ,,მოლაპარაკებათა‘‘ შემდეგ სომეხ ქართველთა დელეგატები ბაბოლოს მივიდნენ წინასწარ შეთანხმებამდე ნეიტრალურ ზონის შესახებ. თანახმად ამ შეთანხმებისა დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს არსებობა ნეიტრალური ზონისა, ,,რომელიც მავნებელია არა მარტო ბორჩალოს მაზრისათვის, არამედ ორივე რესპუბლიკებისათვის სახელმწიფო საზღვრების წინასწარ მიუჩნევლად, რომელიც იქნება გამორკვეული შემდეგში, დელეგატებმა მიზანშეწონილად დაინახეს ნეიტრალური ზონის დროებით დაყოფა ადმინისტრაციულად.

პირველ შეხედვით გასაოცარი ეს დადგენილება გასაგები გახდება, თუ რომ მოვიგონებთ ნეიტრალურ ზონის წარმოშობას და მის ისტორიის.

როგორც ვიცით, საუბედურო სომეხ-ქართველთა ომის შემდეგ, ,,მოკავშირეთა‘‘ ჩარევას და ზეგავლენის წყალობით, ორ სახელმწიფოთა შორის სადავოდ მიჩნეული ადგილებიდან შეიქმნა ნეიტრალური ზონა, რომელიც დაჭერილი იქნა ინგლისის ჯარების მიერ რომლის ადმინისტრაციის სათავეში მოექცა აგრეთვე ინგლისელი აფიცერი. მხოლოდ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იგრძნეს, თუ რას ნიშნავს დაქვემდებარება ,,განათლებული‘‘ ინგლისელების თვითნებობისადმი.

თვითნებური გადასახადები, ცემა-ტყეპა და დახვრეტა ხშირად მოაგონებდნენ მათ ოსმალთა ბატონობის დღეებს. საბედნიეროდ გარემოებათა შემდეგმა მსვლელობამ აიძულეს ,,ჩვენი მეგობრები‘‘ მოეკურცლათ სამშობლოსაკენ და ამ დღიდან ნეიტრალურ ზონას ,,განაგებენ‘‘ სომეხთა და ქართველთა კამისარები.

თავისთავად ვასაგებია, რომ თვითეული მათგანი ტყავიდან ძვრება თვისი სახელმწიფოს ინტერესების დასაცველად და ადგილობრივი მცხოვრებთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. არც კანონი და სამართალი, არც სკოლა და საგანმანათლებლო საქმე არ არსებობდა ამ რაიონისათვის. ყველაფერს ჰქონდა გარდამავალი შემთხვევითი ხასიათი.

ყველა ამასთან ერთად ორმთავრობობა ჰქმნიდა ფრიად ხელსაყრელი ნიადაგს ყოველგვარ ბოროტმოქმედ და ავანტიურულ ელემენტთათვის, რომელნიც ერთ დროს ცდილობდენ ნეიტრალური ზონა დაექვემდებარებინათ ,,საბჭოთა რესპუბლიკისათვის‘‘.

ეხლა დელეგატთა ამ დადგენილებით მდგომარეობა იცვლება ძირითადათ და თვითეული მთავრობას თავის რაიონში შეეძლება დაამკვიდროს შედარებით წესი და კანონი.

მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია არ განვაცხადოთ ჩვენი გაკვირვება ამ ,,შეთანხმების‘‘ შესახებ.

ორი წელიწადი განუწყვეტლივ საგანგებო დელეგაციები ლეჭამდნენ სომეხ-ქართველთა სადავო საზღვრების საკითხს და მაინც დღესაც ის საკითხი არ არის გადაჭრილი ძირითადათ.

სადავო იყო არა მარტო ნეიტრალური ზონა, არამედ ახალქალაქის მაზრაც.

ნუ თუ არ არის დრო, რომ გამოეცხადოს ამ რაიონის მცხოვრებთ, თუ ბოლოს და ბოლოს, რომელი ქვეყნის მოქალაქენი არიან ისინი?

ქართული ადმინისტრაციის მიერ შევიწროების მიყენების და დევნის დროს ახალქალაქელი ითვლება ,,სომხეთელად‘‘, ხოლო გადასახადების მოგროვების, სამხედრო ბეგარაზე გაწვევის და სხ. შემთხვევებში—საქართველოს მოქალაქედ. მაგრამ თვით, ახალ-ქალაქის მშრომელი გლეხობა, მოკლებულია თავისი ნების ყოფის გამოცხადების შესაძლებლობას. საბოლოვო შეუთანხმებლობას ჩვენ ვთვლით ორივე სახელმწიფოს დელეგატების ჰკუამოკლეობის და მთავრობათა უყურადღებოთ მოპყრობის შედეგად. ეჭვს გარეშეა ჩვენთვის, რომ ამ შეთანხმების მოხდენა შესაძლებელიც იყო და საჭიროც ეხლაც, რომ ამის შემდეგ უფრო ადვილი შეიქნეს ორივე მეზობელი ხალხთა დაახლოვება და თანამშრომლობა

სომეხ და ქართველ დემოკრატიებს მობეზრდათ შინაღზრდილ დიპლომატებისაგან არა ოფიციალ ქაღალდებში ,,მეგობრული‘‘ ბაასების მოსმენა. პრაქტიკული გამოხატულება კი ამ მეგობრულ მოლაპარაკებათა ჯერაც არა სჩანს.

იძულებული ვართ რა შეურიგდეთ ამ დროებითი შეთანხმებას, იმავე დროს ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სომხეთის და საქართველოს მთავრობები გადასდგამენ უფრო სწრაფსა და პრაქტიკულ ნაბიჯებს სომეხ ქართველთა ძმობის განმტკიცებისა და მისთვის საერთაშორისო ხასიათის მიცემისათვის‘‘.

## ახალი ნაბიჯი.

ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში ერთი ისეთი დიდი და ეპოქის შემქნელი საკითხი გადასწყდა და განხორციელების გზას დაადგა, რომლის მსგავსი საქართველოს ისტორიაში ჯერ აღნიშნული არ არის. საქართველოს ეკონომიური ცხოვრება ძველეთში, ჰელინთა და რომაელთა მწერლების მიერ აღწერილი და გადმოცემული ან საშვალო საუკუნეებში, ჩვენს მემატიანეებსა და უცხო მწერლობაში აღნუსხულია, საკმაოდ განვითარებული და დროის შესაფერად დაწინაურებული იყო. მაგრამ ერთი სენი თან დასჩემდა ჩვენს ეკონომიურს მოღვაწეობას: შინ ვმაგრდებოდით, ვვითარდებოდით, დოვლათს ვაგროვებდით, ლამაზ, კოხტა სახლებში ვცხოვრობდით კრამიტით დახურულებში, ალებ მიცემობას შინ არვის ვანებებდით, საექსპორტო საქონელს ვამზადებდით და აქ ჩვენშივე ვყიდით უცხოელებზე, მათ მიერვე გასაზიდათ. ჩვენ კარგათ ვიცით რომ ათინის მდიდარ მოქალაქეთა სუფრაზე კოლხეთში მოყვანილი ღვინო ედგათ და ჰელადის გამოჩენილი მკურნალები კოლხეთში დამზადებულ წამლებს აძლევდნენ უპირატესობას. რომის ამაყი პატრიციბი, გმირობის შარავანდეთი შემკული კონსულები და პროკონსულები ჩვენს სანაპიროზედ ნ გატანილ თეთრეულობით და ტყავეულობით ამშვენებდნენ თავიანთ სუფრას. ჩვენი ვაჭრობა უცხოეთთან ყოველთვის ენერგიული იყო, თუ კი უცხოეთთან თავისუფლად ხელი მიგვიწვდებოდა. მაგრამ ერთი სენი მაინც მუდამ თან გვზდევდა მოკიდებული პერიკლეს დროიდან გათავებული დღევანდელ დღემდე: ჩვენ არც ერხელ არ გვქონია ისეთი წესი, ორგანიზაცია, რომელიც ვაჭრობას უცხოეთთან ამტკიცებს, ახანგრძლივებს, აშინაარსიანებს და ამაგრებს. ჩვენ არ გვქონია სავაჭრო განყოფილებანი უცხოეთში, როგორც ეს თავის დროზე ჰქონდათ ბერძნებს „ფაქტორიების" სახით, გენუელებს და ვენეციელებს საშვალო საუკუნოეში და ევროპიელებს ეხლა. ქრისტეს დაბადებამდეც მუშაობდენ ჩვენში ბანკები და უცხო ფირმები; მაგრამ ჩვენ ჩვენს კირას ორგანიზაციულად მოწყობილ ვაჭრობით არ გაგვცილებივართ. აი, ეხლაც ქართველი ისრაელებიც უცხოეთში მიდიან, საქონელი მოაქვთ და აქ ასაღებენ, მაგრამ არავის არ გადაუდგამს ნაბიჯი ლონდონში, სტამბოლში თუ სხ. საკუთარი აგენტურის გახსნისათვის.

ეხლახან გახსნილმა ცენტრო ბანკმა ეს ძველი ჩვენი მავნე ადათიპირველმა დაჰგმო და დაარღვია. ესგარემოება კი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ერის სავარეო ვაჭრობისათვის, რადგან ამაზეა დამოკიდებული საგარეო ვაჭრობის პასიობა, თუ აქტიობა. თუ იგი პასიურია, ბაზარი სხვის ხელთაა, გასაღებიც სხვის ხელთაა და სარგებლობა და მოგება უმეტესათ სხვას რჩება. თუ საგარეო ვაჭრობა აქტიურია—ბაზარიც გასაღებაც, და სარგებლი და მოგებაც უმეტესათ მკვიდრის ხელშია. მაგ. ავიღოთ ჭიათურის შავი ქვა. 1920 წლამდე საზღვარ გარედ იცნობდნენ მხოლოდ ჩვენს შავ-ქვას და იმ უცხოელებს, რომელთაც იგი გაჰქონდათ უცხოეთში. იქ არც ერთ ქართველ მწარმოებელს არ იცნობდნენ. ბაზარიც სხვათა ხელში იყო. ,,ჩემი‘‘ს ჯერაც კიდევ ვერ მოუწყვია თავის შესაფერი აგენტურა ლონდონში. შემდეგში ეს, რასაკვირველია, გამოსწორდება. მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი საგარეო ვაჭრობა საზოგადოდ აქამომდე მუდამ პასიური იყო, რადგან მას აკლია სათანადო მუდმივი ორგანიზაციები უცხოეთის დიდ საბაზრო პუნქტებში. კონსტანტინეპოლში ბანკის განყოფილების გახსნა საჭიროდ დაინახა და სათანადო ნაბიჯი კიდეც გადასდგა. ფრიად სასიხარულოა რომ ცენტრობანკმა შესძლო ასეთი საქმე. ჩვენ ჭეშმარიტათ ვულოცავთ ამ დიად ნაბიჯს არა მარტო ბანკის მონაწილეთ და კლიენტურას, არამედ საზოგადოდ მთელ ჩვენ ეროვნულ ვაჭრობა—მრეწველობას. პირველი ნაბიჯი გადადგმულია ჩვენი უცხოეთთან ვაჭრობის პასივობიდან გამოსაყვანად და აქტივობაზე გადასასვლელად. ბანკის განყოფილება კონსტანტინეპოლში საუკეთესო საბჯენი პუნქტი და საიმედო ბაზისი იქნება ჩვენი ვაჭრებისათვის აზია-ევროპის კვანძილში,—ამ უდიდეს ბაზარზე. ჩვენი ექსპორტ—იმპორტის საქმეც ბანკის დახმარებით შესამჩნევად წინ წაიწევს ტეხნიკურათ გამარტივდება. ამას მტკიცება არ უნდა. მაგრამ განყოფილება სტამბოლში მითია შესამჩნევი, რომ იგი ბუნებრივად აფართოვებს ჩვენი ბონების ტრიალის ფარგალს, ყოველ შემთხვევაში რამოდენიმედ მაინც: ჩვენი ვაჭარი ადვილად დაახურდავებს ჩვენს ბონებს ამიერიდან როგორც ჩვენში ისე სტამბოლშიც. უცხო ბანკებიც და ვაჭრებიც ნელნელა შეეჩვევიან ბონების მიღებას სტამბოლში იმ იმედით, რომ განყოფილება ყოველთვის გადაუცვლის სხვა ფულზე. ყოველ შემთხვევაში ბონების დაცვლის საშუალება მარტო ბათომით მოჩიხული და მოგუდული აღარ იქნება. ეს კი ბონებისათვის უმნიშვნელოთ არ დარჩება.

მაგრამ! პირველ ნაბიჯი უსათუოდ წასაბაძი და გამამხნევებელი უნდა გახდეს ყველა ჩვენი ეკონომიურ—კომერციულ დარგისათვის, რისთვისაც საჭიროა, რომ უპირველესად ყოვლისა განყოფილების გახსნისათანავე საქმე იქნეს სათანადო დონეზე დაყენებული. აქ საჭიროა დიდი სიფრთხილე, დიდი გამბედაობაც, ადგილობრივი პირობების ცოდნა და გათვალისწინება და ყოველ წუთით ცვალებად კონიუქტურასთან მოხდენილათ შეფარდება. აქ საჭიროა მოაზრების სისწრაფე და ხელოვნება, ყველაზე უწინ კომერსანტთა ფსიქოლოგიის ცოდნა; იქ მომუშავე ბანკებთან სათანადო დამოკიდებულების დამყარება და ადგილობრივ საზოგადოებაში საიმედო საყრდნობ ფუძის გამონახვა.

განყოფილებას მეთაურობს ბ. პ. სურგულაძე, რომელიც კონსტანტინეპოლს კარგად იცნობს. ვუსურვოთ ახლად დაწყობილ საქმეს გამარჯვება და წარმატება, ხოლო ქართველ ხალხის უცხოეთთან ვაჭრობას აქტივობა და ძლიერი თაოსნობა.

ტ. მ

# დ ე პ ე შ ე ბ ი

## ფრანგული პრესა.

### ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

„ჟურნალ დე დება„ აღნიშნავს: ინგლისს, რომ მოსკოვთან მართლა ზავი დაედო, იგი მთელ თავის ისტორიულ არსებობის განმავლობაში სასაცილო მდგომარეობაში პირველად ჩავარდებოდა, მისი პოლიტიკა მოსკოვის პოლიციის წითელ აგენტებს დაექვემდებარებოდა. ინგლისის უდიდესი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ იგი საბჭოთა მთავრობას სერიოზულ ყურადღებას აქცევსო.

### „ბრესლავლის" ინციდენტის გამო.

მარნის გამარჯვების სახსოვრად გამართულ ცერემონიაზე დასწრების შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეცში გაემგზავრა, სადაც ორშაბათს ეროვნულ გამოფენას დაესწრო, გერმანიის საელჩოში ყოფნის დროს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აუწყა მას ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მათ ბრესლავლის ინციდენტის გამო მიიღეს. ეს გადაწყვეტილებანი ბრესლავლის პრეფექტს დათხოვნა. ხაზოგ. უზრუნველყოფის პოლიციის უფროსის პასუხისგებაში მიცემა., კაპ. ფონ-არნინის პროვინციალურ გარნიზონში გადაყვანა. საფრანგეთის სადროშოს შენობის აღდგენა.

### დასავლეთი აფრიკა.

გაზ. „დება" იუწყება: საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის გენ.-გუბერნატორი ფიქრობს ისარგებლოს კინემატოგრაფიული ფირმებით ამ მშვენიერ ახალშენის მხატრული სურათების გადასაღებად.

### ალჟირი.

რადგან ალჟირში მოსავალი ნაკლებია, ამიტომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა მეტროპოლიდან ალჟირს ქერი გაუგზავნოს.

### ვრანგელი და ძველი რუსეთის გენერლები.

ვრანგელის გენ. შტ. უფროსი გენ. მარკოვი ვარშავაში მივიდა და „დეილი-ექსპრესის"-ცნობით მოლაპარაკებას აწარმოებს რუს გენერლებთან რომელნიც ადგენენ 150,000 ჯარის-კაციან არმიას. ეს ჯარი ვრანგელის ჯარს უნდა შეუერთდეს.

რიგიდან მოსული დეპეშების თანახმად, რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკება სექტ. 9 დაიწყება.

### ოსმალო ნაციონალისტები ბერლინში.

ბერლინიდან იუწყებიან: აქ მოვიდა მოსკოვში მიმავალი ოსმალ-ნაციონალისტთა მისია.

### ავსტრია და სამხრეთ სლავია.

იუწყებიან ავსტრიასა და სამხრეთ სლავიას შორის კომერციული ხელშეკრულების დადების შესახებ.

### სამხრეთ სლავია და ალბანეთი.

,,დება‘‘ს ბელგრადელი კორესპონდენტი იუწყება: სამხრეთ სლავიის ჯარმა ბრძანება მიიღო შესწყვიტოს ალბანელთა დევნა, როგორც სადემარკაციო ხაზს მიაღწევსო.

### ბოდიში მოხდა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა და პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა საფრანგეთის საელჩოსთან ბოდიში მოიხადეს ბრესლავლის ინციდენტის გამო.

### ერთა ლიგა.

„ერთა ლიგის" შინა კომისია ოქტ. 15 უნდა შეიკრიბოს. დაესწრებიან ლიგის ევროპიელი წევრები. განიხილავენ საკითხებს: თუ როგორ შეიძლება ევროპაში მგზავრობის შემსუბუქება. განიხილავენ უმთავრესად პასპორტების საქმეს.

### ქართული ეროვნული საბჭო პოლონეთში.

პოლ-ში ეწყობა ქართველთა ეროვნული საბჭო კურულაშვილის მეთაურობით. საბჭო ამ დღეებში გამოარკვევს ქართველთა საქართველოში გამგზავრებისა და გაჭირვებულთადმი დახმარების საკითხს. ,,ვარშავსკი კურიერის‘‘ ცნობით ამასთანავე საბჭო ცდილობს მჭიდრო კავშირი გააბას პოლონეთსა და საქართველოს შორის. განზრახულია გამოსცენ გაზეთი პოლონურ და ქართულ ენაზე. იმავე გაზეთის ცნობით ვარშავში გახსნილა პოლონელთა და ქართველთა კლუბი. განზრახულია ამასთანავე ქართველთა და პოლონელთა ბანკის ვარშავაში დაარსება. პოლონეთის პრესა მეგობრულად თანაგრძნობით ხვდება საქართველოს საკითხებს.

### ვანდერველდე ბოლშევიკების შესახებ.

,ტანი‘‘ წერილს უძღვნის მეორე ინტერნაციონალის ჟენევის კონგრესს და იქ მყოფ ვანდერველდის სიტყვა მოსკოვისა და ლონდონის შესახებ. მოსკოვი უთქვამს ორატორს ის უმეცრებაა, რომელიც ფიქრობს, ძალდატანების და სიკვდილის ზომების მიღებით სოციალიზმის დამყარებას. საარაკოდ ჩამორჩენილ მხარეში. ლონდონი წარმოადგენს დარაზმულ პროლეტარიატს რომელმაც გამოიჩინა შეგნება და რკინის დისციპლინა და რომელსაც სწამს, რომ ამ გზით მოაღწევს სოციალიზმს. ერთი მხრივ ძალმომრეობის რეჟიმი და მეორე მხრივ რევოლუცია მეთოდიური თანდათანობით ძალა უფლების ხელში ჩაგდებისა.

### სიკვდილი საბჭოთა მთავრობაში.

,,ტანი‘‘ აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, თუ რამდენიმე კამეჩი დაუხოციათ სიკვდილი რუსეთში. მაისის სამიდან ივნისის 26. ცენტრალურ რუსეთში სიკვდილი მიუსჯიათ 100 კაცისათვის. გაზეთი განმარტავს, რომ ცნობა მხოლოდ მოსკოვსა და პეტროგრადს ეხებაო.

### რუსეთი და გერმანია.

,,იზვესტია" № 164 ოფიციალურად იუწყება რუსეთსა და გერმანიას შორის დღეს არავითარი სადავო საკითხი არ არსებობს. ამიტომ დაახლოვება, თუნდაც ეკონომიური, ორივე მხრისათვის სასარგებლო იქნებაო.

### პური რუსეთში.

— მოსკოვში ღებულობენ მკაცრ ზომებს პურის გამოცხობის საქმის გასაუმჯობესებლად. იმ ფურნეს მოსამსახურეთ, სადაც ცუდი პური გამოცხვება არ მისცენ პრემიას და ულუფას და ბოლოს ფურნეს სრულებით დახურავენ.

### რუს-ეთ გერმანიის კავშირი.

,,აქსიონ ფრანსეზი‘‘ დაბეჭდილია წერილი სათაურით ,,საფრანგეთ რუსეთ გერმანიის საფრთხე‘‘ სადაც სწერია: პოლონეთის ველზე სწყდება არა მარტო რუსეთ-პოლონეთის საკითხი, არამედ ევროპის მახლობელ მომავლის ბედიც. უნდა გვახსოვდეს—სწერს, წერილის ავტორი ერლიხი, რომ ბოლშევიკებს სურთ, რათა არ ვნება ... დაუჯდეთ, შეუერთდნენ გერმანელებს. რათა შეერთებულის ძალით შეებრძოლონ ახალი კომპანია მოკავშირეების წინააღმდეგ. ამიტომაც ანტანტამ უნდა გააძლიეროს პოლონეთისათვის დახმარების აღმოჩენა და არ უნდა შეიწყნაროს რუსეთ გერმანიის კავშირი მოკავშირეთა გაერთიანებული პოლიტიკა იხსნის ევროპას გერმანელებისა და ბოლშევიკების საფრთხისაგან. მოსკოვისა და ბერლინის შეერთების დღე უბედურების დღე იქნება და ვერსალის ხელშეკრულება ქაღალდის ნაფლეთად იქცევა.

### რუსეთი და ამერიკა.

პარიზში მყოფმა ამერიკის ელჩმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ამერიკა კმაყოფილია საფრანგეთის პოლიტიკით პოლონეთის საკითხში ამერიკის წარმომადგენლობა აღნიშნავს: ვილსონმა ხალხთა ლიგის მე-8 პარაგრაფში სთქვა, რომ რუსეთის საკითხი თვით რუსეთის ხალხმა უნდა გადასწყვიტოსო. ამერიკას მას შემდეგ თავის აზრი არ შეუცვლია. ევროპისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რუსეთის აღდგენა. აღდგენილ რუსეთთან მეგობრობა, როგორც საფრანგეთს, ისე შეერთებულ შტატებისათვის, იქნება თავმდები მშვიდობიანობისა.

### ამერიკელი სოციალისტები ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ადგილობრივ პრესის ცნობით სოციალისტურ პარტიის კონგრესის დადგენილების თანახმად პარტიის წევრთა შორის მოახდინეს რეფერენდუმი რუსეთის ტიპის პროლეტარიატის დიქტატურასთან დამოკიდებულების გამოსარკვევად. რეფერენდუმით გამოირკვა, რომ ამერიკის სოციალისტური პარტია თავის ზიზღს გამოსთქვამს სოციალიზმისათვის იმ ხასიათის ბრძოლის გამო, რომელსაც ბოლშევიკები ეწევიან.

### ახალი რადიოს პირველი დეპეშა.

საზღვაო იუწყების სტატს მდივანმა დანიელსმა ბორდოში ახლად აგებულ რადიო სადგურიდან მიიღო შემდეგი შინაარსის რადიო დეპეშა: თქვენ გვზავნიათ პირველი რადიო დეპეშა იმ სადგურიდან, რომელიც მთელ დედამიწას სწვდება. მარკონის მეცნიერებამ კიდევ ერთი ახალი გამარჯვებას მიაღწია. დანიელსმა უპასუხა მისალოცი დეპეშით, სადაც გამოსთქვა სურვილი საფრანგეთისა და ამერიკის ურთიერთობის მეგობრობის განმტკიცებისა.

## საქართველოს ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა.

ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენება შეადგინა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა დამოკიდებულია საერთო მიზეზებზე, რომლებიც მსოფლიო კატასტროფიდან გამომდინარეობსო. საქართველო ცნობილია თავისი ბუნებრივი სიმდიდრით. საქართველო წარმოების მხრით ხელსაყრელ პირობებში იმყოფება, რაც გამოიხატება იმაში, რომ თუ აქ წარმოება განვითარდა, იგი უზრუნველყოფილი იქნება თავისი ნედლი და სათბობ-მასალით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთის მთავრობას, თავის ბატონობის დროს, საქართველოს წარმოებისათვის საფუძველიც კი არ ჩაუყრია: რუსეთი უფრო ხელსაყრელად სთვლიდა გაეტან აქედანა ნედლი მასალა და შემდეგ გადამუშავებული შემოეტანა იგი უკან. ქართული მატყლი და სხვა ნედლი მასალა გაჰქონდათ მოსკოვში, აქ ამუშავებდენენ, და შემდეგ შემოჰქონდათ საქართველოში. ხორბლით სათესი ადგილების სივრცე თანდათან იზრდებოდა, მაგრამ მეურნეობას პრიმიტიული ხასიათი ჰქონდა.

საქართველოს მეურნეობა რომ რაციონალურ ნიადაგზე ყოფილიყო დაყენებული, მაშინ მას აღარ დასჭირდებოდა რუსეთის ხორბალი. როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიურ ცხოვრებაში ერთი და იგივე პოლიტიკა ტარდებოდა: სურდათ შეექმნათ ფაქტი საქართველოს რუსეთისაგან დამოკიდებულებისა. მაგრამ რუსეთი დაირღვა. შეიქმნა საქართველო ყოველ მხრივ გარშემორტყმული, რომელსაც ევროპაში არ ჰქონდა გასავალი. საქართველო თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. მას არ ჰქონდა არავითარი მრეწველობა და საფუძველი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის. ხალხ განსაკუთრებული უნარი უნდა გამოეჩინა, რომ შეექმნა სახელმწიფოებრივი წყობილება და ანარქია აეცილებინა თავიდან. ახლა აღმშენებლობის მუშაობის შემდეგ იბადება კითხვა: არის თუ არა საქართველოში ეკონომიური ნიადაგი სახელმწიფოებრივ წყობილების შესაქმნელად? საქართველოში ამ ჟამად უმთავრესად სასოფლო მეურნეობა არის გა-

...ცელებული. საქართველოს მეურნეობამდე თანდათან იზრდებოდა. თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში 1908 წელში 388.718 დესეტინა მიწა იყო დათესილი. 1912 წელში კი 592,461 დესეტინა, შემდეგ უფრო შემოსავლიანმა და ინტენსიურმა კულტურამ, თანდათან განდევნა პრიმიტიული კულტურა. ეს მოვლენა უფრო ნათლად თამბაქოს კულტურას დაეტყო. მეთამბაქოება თანდათან სამრეწველო ხასიათს იღებს. საქართველოს ეკონომიური ავლადიდება დიდია. მათი ექსპლოატაცია დიდ კაპიტალს და ტეხნიკურ ცოდნას მოითხოვს. ამ ჟამად რესპუბლიკის სიმდიდრეს შეადგენს ნედლი და ნახევრად ნედლი მასალა: მარგანეცი, თამბაქო, ტყე, ღვინო, არის ვალიუტა, რომელიც ჩვენს ქაღალდის ნიშნებს უზრუნველჰყოფს. მარგანეცის გარდა, რომელიც 5 მილიარდ ფუთს უდრის, საქართველოში დიდ ძალი ქვანახშირი არის, ტყვიბულის ქვანახშირის რაოდენობა 6 მილიარდს უდრის. ამის გარდა ტყვარჩელის ქვა ნახშირი 13 ნახევ. მილიარდს ფუთს უდრის. ეს ქვანახშირი თავის ღირსებით არ ჩამოუვარდება ევროპის საუკეთესო ხარისხის ქვა-ნახშირს. საქართველო მდიდარია აგრეთვე ტყით, რომლის სივრცე 2 მილიონ დესეტინას უდრის. შემდეგ ფინანსთა სამინისტრო თავის მოხსენებაში ვრცლად ეხება ბიუჯეტის საკითხებს და აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის შემოსავალი ბევრად აღემატება ხარჯთ-აღრიცხვაში ნავარაუდევ შემოსავალსო. მართალია ეს გადასახადი მძიმე ტვირთად აწვებოდა მცხოვრებთ, მაგრამ მისი წესიერად შემოტანა რესპუბლიკის კასებში ამტკიცებს იმას, რომ მცხოვრებნი თავის მოვალეობას შეგნებულად ჰხვდენ, რომ დრო ანარქიისა გავიდა და სამოქალაქო ცხოვრება თავის ნორმალურ კალაპოტში დგება.

ფინანსთა სამინისტრო ახასიათებს რა რესპუბლიკის ბალანსის მდგომარეობას აღნიშნავს, რომ სავაჭრო ბალანსის პასიურობა იწვევს ქვეყნის დიდ დავალიანებას, რომლის გადახდა მას თავის ნედლი მასალით უხდება. მაგრამ სავაჭრო ბალანსის პასიურობა საერთაშორისო მოვლენაა: 1919 წ. 9 თვის განმავლობაში შემოტანილი საქონელი გატანილს 4-ჯერ აღემატებოდა, ინგლისში კი 2-ჯერ, ევროპის სამეურნეო კრიზისი გამოიხატება აგრეთვე საქონლის უქონლობაში, რაც თავის მხრივ იწვევს სპეკულიაციას. რესპუბლიკის სავაჭრო ბალანსი მოეწყობა იმ შემთხვევაში, თუ მოწესრიგდება ნედლი მასალის ექსპორტი. მთავარი მიზეზი, რომელიც აძნელებს საქართველოდან ნედლი მასალის გატანას არის საკუთარი ტონაჟის უქონლობა. საქართველო მეტად საჭიროებს დამზადებულ საქონელს. ამან აიძულა მთავრობა განსაკუთრებული ეკონომიური პოლიტიკა ეწარმოებინა. ქაღალდის ფულის ნიშნების ემისია 1920-1921 წლის დამდეგამდე უდრის 2.500 მილიონ მან. სულზე მოდის 833 მან. ვალი. სახელმწიფოს სხვა ვალი არ აქვს.

დაისვა საკითხი საზღვარ გარეთიდან მოტანილ საქონელში ანგარიშის გასწორებისა, თხოულობდნენ ვალიუტას, ვალიუტას ჩვენი ნედლი მასალა შეადგენდა. ამ ნედლ მასალაზე მთავრობამ მონოპოლია გამოაცხადა. ამ რიგად ნედლი მასალის მონოპოლიამ შექმნა მტკიცე ვალიუტა და ამასთანავე მთავრობამ ექსპორტი განსაზღვრულ გეგმას დაუმორჩილა. ამის გამო შეიქმნა ისეთი პირობები, რომ მთავრობა იღებდა საზღვარ გარეთიდან დამზადებულს საქონელს მონოპოლიით. მთავრობამ შეაჩერა ფასების სპეკულიატური ზრდა. მონოპოლიის გატარების დროს მთავრობა ხშიროდ სთვლიდა წვრილ მწარმოებლის ინტერესების დაცვასაც. წვრილ მწარმოებლებს მეცხვარეებს და მეთამბაქოებს 1920—21 წლის სეზონისათვის მიეცათ სესხი. გაზრახულია კიდევ წვრილ მწარმოებლებისათვის 5 მილიარდ სესხის მიცემა. ასეთი მიზნებით გარიყული იქნება სპეკულიანტი და წვრილი მწარმოებელი ბაზარს შუამავლის გარეშე დაუახლოვდება. მცხოვრებლები დარწმუნდნენ, რომ მონოპოლია სასარგებლოა და მხარსაც უჭერენ მის გატარებას. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია მეცხვარეთა გაერთიანება და მათ მიერ სახელმწიფოებრივ ორგანოებთან უშუამავლო კავშირის დაჭერა, გაერთიანდნენ აგრეთვე წვრილი მეთამბაქოები და პლანტატორები. მთავრობა მარგანეცის მონოპოლიას აწარმოებს მწარმოებელთა მონაწილეობით. წმინდა მოგება მარგანეცის ექსპორტიდან, მიმდინარე წელში 1 მილიარდ მანეთს შეადგენს. სავალდებულო საქონელი მთავრობას თვითონ გააქვს გატანილია 600,000 ფრანკად ღირებული აბრეშუმის პარკი. მიღებულია ზომები ექსპორტის საერთო მოსაწესრიგებლად და უპირველეს საჭიროების საქონლის იმპორტის გასაადვილებლად. ამასთანავე აკრძალულია ფუფუნების საგნების შემოტანა. სურსათ-სანოვაგეს შემოტანის მოსაწესრიგებლად ყოველგვარი სანოვაგი, რომელიც კი შემოტანილი იქნება საბაჟო გადასახადიდან განთავისუფლდება. გარდა ამის სურსათ-სანოვაგის გატანა რესპუბლიკიდან აკრძალულია. აკრძალულია აგრეთვე იმ საქონლის გატანა, რომელიც რესპუბლიკას თვითონ ესაჭიროება. საქართველოს არა აქვს თავისი მრეწველობა და რადგანაც სოციალისტური მთავრობა ჰფიქრობს, რომ სოციალისტურ რევოლიუციის დრო კიდევ არ დამდგარა, ამიტომ იგი არ ავიწროებს ჩვენში კერძო ინიციატივას. მიღებულია ზომები ეროვნულ და უცხო კაპიტალის გამოსაყენებლად. ევროპა მეტად დაინტერესებულია საქართველოთი: ნედლი მასალის სიმრავლეს, სათბობ მასალას, თეთრი ნახშირის წყაროებს და სხვას არ შეუძლიათ არ შემოიყვანონ საქართველოში უცხო კაპიტალი.

## აფხაზეთის ავტონომიის საკითხი.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგატმა წერილობითი განცხადებებით მიმართეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს, სადაც გამოთქმულია სურვილი, რომ დამფუძნებელ კრების მომავალ სესიაში გარჩეულ იქნას შემდეგი საკითხები: 1) ავტონომიურ აფხაზეთის საქართველოს ნაწილად ცნობის შესახებ, 2) იმ საქმეებში, რომელიც ექვემდებარება აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს, ამ ორგანოს მოქმედება იყოს სავსებით დამოუკიდებელი, და 3) ადგილობრივ აღმასრულებელ ძალად ჩაითვალოს ავტონომიურ აფხაზეთის მთავრობა. ეს საკითხი გაირჩა საკონსტიტუციო კომისიაში, რომელმაც დაადგინა: დებულება რესპუბლიკის ნაწილების ავტონომიის შესახებ გამომდინარეობს სახელმწიფოს საზოგადო კონსტიტუციიდან. აფხაზეთის ავტონომიის მიღება, ანუ ნაწილობრივი ცნობა ამა, თუ იმ პრინციპისა,—შეუძლებელია, სანამ არ არის მიღებული კონსტიტუცია მთლიანად, 2) სახალხო საბჭოს დელეგატების მიერ განცხადებაში დასმულ საკითხების შეტანა დამფუძნებელ კრებაში დაუშვებელია, არსებულ პარლამენტარულ წესდების ძალით. 3) ავტონომიის პრინციპი, მიღებულ კონსტიტუციის პროექტში, სავსებით უზრუნველ ყოფილია. 4) დებულება ავტონომიის შესახებ შეტანილი და გარჩეული იქნება დამფუძნებელ კრების მომავალ სესიაში.

## მოსკოვის ცნობები.

**მოსავალი რუსეთში.**

მდგომარეობა შეცვლილია. გლეხი თავის ნაწარმოების ბატონ-პატრონი შეიქმნა მისი სურვილია თავის ნაწარმოები მეტად ხელსაყრელ პირობებში გაასაღოს, ივიწყებს რა იმ კავშირს რომელიც განუყრელათ აერთიანებს მას მუშათა კლასთან. კავშირის აუცილებლობა ბოლშევიკებმა უნდა განუმარტონ გლეხებს. ეს უფრო საჭიროა დღეს, როდესაც რუსეთს მოუსავლობა ეწვია და როდესაც გლეხობა არ იჩენს სურვილს სხვა მცხოვრებთ პური გაუზიაროს. ქალაქის პროლეტარიატს და წითელ ჯარს ექვირება პური, რომელიც უნდა მოვიტანოთ და მოუტანოთ კიდეც. მუშა და გლეხი ერთი კავშირით არიან შეერთებულნი. მათ აკავშირებთ პოლიტიკური და ეკონომიური პირობები. ამ კავშირის გაწყვეტა ნიშნავს რევოლიუციის დამარცხებას. მუშას ეს აზრი შეთვისებული აქვს და ესევე უნდა შეითვისონ გლეხებმაც.

**სრულიად რუსეთის სახალხო მეურნეობის პრეზიდიუმის დადგენილება**

აგვისტოს ბოლო რიცხვებში საგანგებო კომისიამ რიკოვის მეთაურობით მოსკოვთან ახლო მდებარე ქვანახშირის მაღაროები ინახულა. კომისიის მიზანი იყო გასცნობოდა ორი წლის მუშაობის შედეგებს. ამ გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის შემდეგი განვითარებისთვის. მოისმინა რა რიკოვის და ლომოვის მოხსენებანი სრულიად რუსეთის სახალხო მეურნეობის პრეზიდიუმმა, დაადგინა, 1) დაავალოს კომუნისტებს მოიწვიონ ყრილობა მუშების სადგომ ბინების აშენების საკითხის გარკვევად ბეტონის და დამწვარ მასალიდან მუშების სახლების ასაშენებლად და სხ.

**ლიტოვსკის დაკავება**

მოსკოვი სექტ.—8 ოპერატიული რადიო ცნობა. სექტემბრის 7—ის გროდნოს რაიონში, სოკოლკის ჩრდილოეთით ადგილობრივ ხასიათის ბრძოლები ბრესტ—ლიტოვსკის რაიონში ჩვენ—კამენეც—ლიტოვსკი დავიკავეთ. ვლადიმირ—ვოლინის რაიონში გრუბეშოვის ჩრდილოეთით და სამხრეთით მკაცრი ბრძოლები გრძელდება. ჩვენ 200 ტყვე წამოვ ყვანეთ. ლვოვის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ყირიმის ფრონტზე ადგილობრივი ხასიათის ბრძოლებია.

**ბოლშევიკები და გლეხობა**

,,გლეხის კვირის'' ლოზუნგია: ქალ ქს პური ესაჭიროება. პური უნდა მუშებს და წითელ არმიას. ეს პური უნდა მოგვცენ გლეხებმა პური უნდა წამოვიღოთ და წამოვიღებთ კიდეც''.

## ლეკან ყიფიანს.

გაზ. ,,სლოვოს'' № 104-ში, ლ. ყიფიანი ეხება იმ ინციდენტს, რომელიც დამფუძნებელ კრების წევრს გრ. ვეშაპელს ბორჯომის მატარებელში შეხვდა და სწერს:

,,აქ—გმირია დამფუძნებელ კრების გრ. ვეშაპელი, ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ერთი ლიდერთაგანი და საპარლამენტო ოპოზიციის თვალსაჩინო წარმომადგენელი'':

ჩვენ არ გვინდა არსებითად შევეხოთ ამ ინციდენტს, რომელიც თვით ბ-ნმა ვეშაპელმა თავის წერილში სამწუხაროთ აღიარა, მაგრამ შეუძლებელია ყურადღება არ მოვაქციოთ ერთ გარემოებას;

ბ-ნ ვეშაპელის მოქმედება განსაზღვრულ მიმართულების და ზნეობის ხალხს სურთ გააღრმავონ, როგორც სკანდალი, რომელიც ჩირქს მოსცხებდეს საერთოთ არა-სოციალისტურ მიმდინარეობათ საქართველოში, ხოლო გაზეთ ,,სლოვოს'' მოსამსახურე ბ-ნი ყიფიანი, რასაკვირველია, მზათ არის თავისი შეუკავებელი კალმით სკანდალურ სახით წარმოუდგინოს უცნოველ მკითხველებს ქართული ეროვნულ პოლიტიკური მიმდინარეობანი.

ამიტომ, ასურათებს რა თავის წერილში ბ-ნ ვეშაპელს არა სასიამოვნო ფერებით იგი უმატებს:

,,ვეშაპელი, ნეციონალ-დემოკრატიული პარტიის ერთი ლიდერთაგანი''.

ჩვენ არ ვთვლით ბ-ნ ვეშაპელის ინციდენტს საგაზეთო ყურადღების საგნათ—მისი ადგილია მომრიგებელი სასამართლო, თუ ვისმეს იგი აინტერესებს, მაგრამ რადგან ბ-ნი ყიფიანი ჩვენც გვწდა, გაზ. ,,სლოვოს'' საყურადღებოთ აღვნიშნავთ:

ნუ თუ მისი ჟურნალისტი, რომელიც ყველაფერზე სწერს არ უნდა იცნობდეს დამფუძნებელი კრების ფრაქციებს, რომ ბ-ნ ვეშაპელს, რომელიც დიდი ხანია რაც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიიდან გამოვიდა, შეთავაზებს სხვა პარტიას და სხვა ფრაქციას, რედაქტორობს სხვა გაზეთს, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერათ აცნობს თავის საზოგადოებას?

# ახალი ამბები

## სამინისტროებში.

— **ბაქოში მყოფ ქართველ მოქალაქეთა ბედი.** საგარეო საქმეთა სამინისტრო, თანახმად სხვა და სხვა პირის თხოვნისა, შეეკითხა საქართველოს წარმომადგენელს ბაქოში აზერბაიჯანში დარჩენილ ქართველ მოქალაქეთა შესახებ და მიიღო შემდეგი პასუხი: 1) პეტრე პავლეს ძე ანდრეევსკი, ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში მსახურობს, კარგად არის. 2) ვიქტორ ალექსის ძე შალიბაშვილი დაპატიმრებულია განჯაში, საქართველოს წარმომადგენელის მიერ აღძრულია შუამდგომლობა მის განთავისუფლების შესახებ 3) მიხეილ სარანოვი განთავისუფლებულია და მალე გაემგზავრება თბილისს. 4) სოლომონი და დავით ჩიჯავაძეები კარგად არიან და პირველ შესაძლებლობის თანავე თბილისში გაემგზავრებიან. 5) სერაფიმე ვასილის ძე ბაკულო ბაილოვის ციხეში ზის, ბრალდება სამი ბოლშევიკის მოკვლა და მისჯილი აქვს ათი წლის იძულებითი მუშაობა. 6) ახალციხის ქალაქის გამგეობის ცნობისათვის საქართველოს წარმომადგენელი ბაქოში იტყობინება, რომ მოქალაქე ილია ხარშიშვილი (იგი ხარამ დავითაშვილი) და მოქალაქე იოსებ აბრამის ძე ნოდიაშვილი ბაქოში არ ირიცხებოდნენ და არც ამ ჟამად ირიცხებიან. 7) კონსტანტინე ტერ აბრამოვი დაპატიმრებული არ ყოფილა. ნებართვა მიღებული აქვს პირველ შესაძლებლობის თანავე თბილისს წავა.

## მუშათა ცხოვრება.

— **ბათუმის მუშები.** მუშათა მაგიდამ აუწყა მომარაგების სამინისტროს რომ ბათომის მუშათა მაგიდამ ყოველდღე უნდა მისცეს სურსათი 100.000 მუშასა და მოსამსახურეს. ამის დასაკმაყოფილებლად კი საჭიროა ყოველდღიურად ორასი ფუთი ხორბალი. ერთ თვეში ეს რიცხვი გაიზრდება 12.000-მდე, ასე რომ დღეში საჭირო იქნება 250 ფ. პური.

— **ქუთაისის მუშები.** ქუთაისის-ტელეგრაფის უფროსს აუწყა მუშათა მაგიდამ, რომ მისი მიერ მიღებულია ღონისძიებანი მუშებისათვის დასარიგებელ ქერის პურის ღირსების გასაუმჯობესებლად. ამავე დროს მუშათა მაგიდამ მიმართა მომარაგების სამინისტროს, რომ მან ქუთაისში მუშათა მაგიდის სახელზე გაგზავნოს ხორბალი პურის ღირსების გასაუმჯობესებლად.

— **სურსათი სოხუმს.** მუშათა მაგიდამ მთავრობის საქმეთა მმართველს მის შეკითხვის საპასუხოდ აუწყა, რომ სოხუმში მოწყობილია მუშათა მაგიდა, რომელიც აკმაყოფილებს მუშებისა და მოსამსახურეების მოთხოვნილებას სურსათის მხრივ.

— **კარტოფილის დამზადება.** მუშათა მაგიდამ აუწყა რკინის გზის სასურსათო განყოფილებას, რომ ის თანახმაა დაამზადოს 100.000 ფუთი კარტოფილი.

— **შეშა.** მუშათა მაგიდამ მიმართა ტყის ინსპექტორს თხოვნით, რომ დასავლეთ საქართველოში რკინის გზის რაიონებში, მიეცეს მას ნება მუშების და რკინის გზის მოსამსახურეების საჭიროებისათვის შეშის დამზადებისა. ამასთანავე მუშათა მაგიდა აღნიშნავს, რომ მას დასჭირდება სულ 20.000 კუბიკური საჟენი შეშა.

## ქალ. თვითმართველობაში.

— **ქალაქის საქმეები.** მოსამსახურე ებრაელები. თბილისის ქალაქის მოურავის განკარგულებით ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე ებრაელები, თავიანთ ნაციონალურ დღესასწაულების გამო თავისუფლდებიან შემდეგ დღეებში: 13, 14 და 15 ენკ. ამ დღეებს განთავისუფლდებიან მოწაფებიც.

## ვაჭრობა-მრეწველობა.

— **შავი ქვის გაზიდვა.** ჭიათურის შავი ქვის მადნის ამხ. „ჩემო"-ს მარიამობისთვეში დამზადებული ჰქონდა გასაზიდათ 3 მილიონი ფუთი შავი ქვა. გაზიდულია ამის ნახევარი.

## სატარიფო პალატაში.

— **ფოთის გადამტვირთველები.** სატარიფო პალატამ დაადგინა ახალი ტარიფი ფოთის მტვირთველ მუშებისათვის, ამის გამო დეპეშით ეცნობა ფოთში, საზოგადოება „ჩემო"-ს, რომ ამიერიდან მუშებს ანგარიში გაუსწორონ ამ ახალ ტარიფის მიხედვით.

## მამულების რევიზია.

მიწად მოქმედების სამინისტრომ თიანეთის მაზრაში გაგზავნა სპეციალური კომისია სახელმწიფო მამულების სამმართველოს სარევიზიოდ.

## ტყეების დათვალიერება.

მიწად მოქმედების სამინისტრომ გაგზავნა სპეციალური კომისია შორაპნის მაზრაში ტყეების დასათვალიერებლად და ქალაქთა კავშირისათვის გადაცემულ შეშის დამზადების საქმის გასაფართოებლად.

## მამულების გამორკვევა.

მიწად მოქმედების სამინისტროს გადასახადების განყოფილებამ გაგზავნა გრ. პოტკოვი არტაანის ოლქში სახელმწიფო მამულების რაოდენობის და იმის გამოსარკვევად თუ ვინ სარგებლობდა ამ მამულებით დღემდის.

## თეატრი და ხელოვნება.

— **სახელმწიფო თეატრის კომისრის განცხადება.** დრამატიული ბალეტის და ამგვარ სკოლების გახსნის მსურველთ უნდა მიმართონ თხოვნით სახელმწიფო თეატრის კომისარს, რომელიც იშუამდგომლებს სახალხო განათლების მინისტრთან ნებართვის აღების შესახებ. ამ წესის დამრღვევნი დასჯილი იქნებიან.

— **მუსიკალურ სასწავლებელში.** საქართველოს მუსიკალური საზოგადოება იუწყება, რომ კონსერვატორიაში მისაღები გამოცდები ენკენისთვის 15 დაიწყებაო.: მეცადინეობა ენკენისთვის 20 დაიწყება.

— **მუშათა თეატრი.** ქალაქის გამგეობის კულტურულ განმანათლებელმა განყოფილებამ, ავჭალაში მუშათა თეატრი გაიხსნა.

— **სამუს. სასწ. სიღნაღში.** დაარსდა ქ. სიღნაღში ფილიალური განყოფილება ქართ. სამუსიკო საზოგადოებისა ყველა დაწესებულებამ ქალაქის თვითმართველობამ, ერობამ, კოოპერატივთა კავშირმა გადასდო ერთ დროულათ თანხა სიმფონიურ-ორკესტრის ინსტრუმენტების შესაძენად 200,000 მ. თვიურად 8.000 მან. დაენიშნა კაპელმეისტერს, სიმღერა—გუნდის და ფორტეპიანოს მასწავლებლებს' ახლად დაარსებულ ფილიალურმა განყოფილებამ მიმართა მთავარ გამგეობას, რათა მან ორგანიზაციულად მოაწყოს ქ. სიღნაღის სამუსიკო სკოლა.

## გამომცემლობა.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა გასაყიდათ ქართულ ენაზე პროფესორ ბობროვის წიგნი „დესურგია". ეს წიგნი გადათარგმნილია სახელმწიფო უნივერსიტ. ასისტენტ ექ. ცხაკაიას მიერ.

## თეატრი და მუსიკა.

**სამხატვრო თეატრის წარმოდგენები.**

დღეს კ. ჰამსუნის ,,ალსავლის კარებთან'' მიდის. ამ პიესამ შემოდგომის სეზონში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო და როგორც დადგმის, ისე ასრულების მხრივ საუკეთესო წარმოდგენათ უნდა ჩაითვალოს სამხატვრო თეატრის რეპერტუარში უმთავრეს როლებში მონაწილეობენ: კარალოვი, კრიპერი, ბერსენევი, მასალიტინოვი და სხვანი.

ხვალ: ,,ძმანი კარამაზოვები''.

**მიხ. ჩეხოვის წარმოდგენები**

დღეს: მესამედ მიდის ,,მამიდა ჩარლეა''—მიხ. ჩეხოვის რეპერტუარის პიესა.

ხვალ: მიხ. ჩეხოვის ბენეფისია.

**ქართულ კლუბში.**

ხვალ: პარასკევს, ენკენისთვის 10-ს საინტერესო კონცერტი იმართება ბალეტში, ბ-ნ ნ. ბეგთაბეგიშვილი ხელმძღვანელობით, მონაწილეობენ ბალეტის საუკეთესო ძალები. მღერის თამარა წერეთელი.

ბალში დიდი სეირნობა და ვახშამი სამ საათამდის. საღამოს დიასახლისობს: ქ-ნი ო. ს. სვანიშვილისა.

## ერ. დემ. პარ. მთავარი კომიტეტის ცნობები.

**პრეზიდიუმის სხდომა.**

დღეს საღამოს 7-საათისათვის დანიშნულია მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

—

**გორის სამაზრო კონფერენცია.**

კვირას 12 ენკენისთვეს ქ. გორში გაიხსნება ერ. დემოკრატ. პარტიის მეორე სამაზრო კონფერენცია, რომელზედაც დაესწრებიან მთავარ კომიტეტის წარმომადგენელნი.

—

## მოსწავლეთა ორგანიზაციების საყურადღებოდ.

მთავარმა კომიტეტმა დაამზადა მოსწავლეთათვის მომავალ სამოსწავლო წლისათვის სამუშავო ინსტრუქცია, სარეგისტრაციო ბარათები და საწევრო მოწმობები, რომელნიც ამ დღეებში დაეგზავნებათ მოსწავლეთა ყველა ორგანიზაციებს, სადაც ორგანიზაცია ჯერ არ არსებობს და არიებენ მხოლოდ საინიციატივო ჯგუფი, მათ შეუძლიანთ სამაზრო კომიტეტის საშუალებით მოითხოვონ სამუშავო მასალა მთავარ კომიტეტისაგან.

—

## კონფერენციისათვის.

მოსწავლეთა ორგანიზაციებმა ყველგან სამოსწავლო წლის დასაწყისიდანვე გამართონ პარტიული კრებები და გულდასმით იმსჯელონ ჩვენ მიერ დაგზავნილ კონფერენციაზე, განსახილველ საკითხებზე.

კონფერენციის დრო და ადგილი გამოცხადებულ იქნება თავის დროზე.

## ბიულეტენები პრეს ბიუროსი.

საქართველოში რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა.

**ვრანგელის დესანტის განადგურება.**

ეკატერინოდარი. ენკენ. წ. 14 მარიამობისთვეს ანაპაში და ახტარში გადასხმული იქნა დესანტი. იმავე საღამოს ანაპში გადასხმული დესანტი განადგურებულ იქნა, ხოლო ახტარისამ მოახერხა რამოდენიმე წარმატებისთვის მიეღწია და დაეჭირა ტიმანისა და მეძინის მხარეები.

26 მარიამობისთვეს ეკატერინოდარში მოვიდა ამხანაგი ტროცკი. დაუყონებლივ პროფესიულ კავშირთა საბჭოებმა ხელი მიჰყვეს მოხალისეთა ჩაწერას. 12 საათ. განმავლობაში იქვს ათასზე მეტი კაცი ჩაეწერა. ასეთივე მობილიზაცია მოახდინეს მენშევიკებმა თავიანთ წევრთა შორის. შედეგად ის მოჰყვა, რომ 28 მარიამობისთვეს დესანტი ყოველ პუნქტებიდან განდევნილ იქნა. თეთრებს ბლომად დაეხოცათ, მეორე კიდევ უთავბოლოდ გაიქცა. იყო კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც 17 მარიამობისთვეში გამოვიდა ბრძოლის ველზე. ჩვენმა მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ დესანტი რაევსკისაკენ მიემართებოდა. რა კი მხედველობაში გვქონდა, თუ რა ხიფათი მოგველოდა თეთრთა მიერ რაევსკის დაჭერით და ტონელისა და ნოვოროსისკის შუა გვირაბის მოსალოდნელ აფეთქებითა, ჩვენმა სარდლობამ ბრძანება გასცა შეეჩერებინათ დესანტის წინსვლა თუნდაც რაევსკის შუაგზამდე. ამისთვის საკმაო ძალები გადმოყვანილ იქნა მათი ზღვაში გადასარეკლად.

ოვა საათის ბრძოლის შემდეგ ბრძანება ბრწყინვალედ იქმნა შესრულებული. მოწინააღმდეგემ პირი იბრუნა და აბრაუ-დიურსო თან შეჩერდა. მაგრამ აქ მათ შეხვდნენ ჩვენი ჯარები და მათ დაიჭირეს პატარა სოფელი ლობანოვე, მოწინააღმდეგემ 800 კაცი დაჰკარგა. ჩვენი საარტილერიო ცეცხლით ჩაიღუპა მათი ხომალდი, რომელიც დატვირთული იყო 20 ათას ფუთით სურსათ მასალებით. ლობანოვასთან ტყვედ წამოვიყვანეთ 180 კაცი, 13 ყუთი პატრონა, ოთხასი ვინტოვკა, ათასი ფუთი მარილი და რაოდენიმე ნაწილი ისკალოურთი თამბაქოსი. 21 მარიამობისთვეს ჩვენები იერიშზე გადავიდნენ და 22 მარიამობის თვეს მოწინააღმდეგემ უკვე ზღვაზე გამზადებულ ხომალდებზე დაიწყო გადასვლა. ჩვენი ჯარები განაგრძნობდენ იერიშებს, მაგრამ მტრის გემის არტილერიის ცეცხლმა შეაჩერა, რომელიც ნაპირიდან ხუთ ვერსზე იდგა და ჯვაული წყნარად უკან დაგვეხია. ცოტა ხნის საარტილერიო დუელის შემდეგ მოწინააღმდეგის გემი დავაზიანეთ და ქვიშაში ჩავსვით. მოწინააღმდეგე ქვლავ ნაპირზე გადმოვიდა და პოზიციების დაჭერას მიჰყო ხელი.

23 მარიამობის თვეს მტრის გარშემო შევავიწროეთ ჩვენი ალყა, ხოლო 24 მარიამობისთვეს ბრძოლის შედეგათ მივიღეთ დესანტის სრული ლიკვიდაცია ნაწილმა მოახერხა ზღვით გაქცევა. ნაწილი კიდევ ტყვეთ ჩავიგდეთ.

## რაში იხარჯება სახელმწიფო დოვლათი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპუბლიკა დიდ ფინანსიურ გაჭირვებაშია იგი მაინც ცდილობს დახმარება აღმოუჩინოს ერობებს და ქალაქის თვითმმართველობებს. ზოგიერთი ერობები, თუ ქალაქები თავისი ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების მაგიერ სრულიად უგეგმოდ, უაზროდ ხარჯავენ სახელმწიფოდან აღებულ სესხს ან საკუთარ თანხებს.

ჩვენ ამ შემთხვევაში გვინდა მოვიყვანოთ ერთი მოგალითი, რომელიც შეეხება თელავის მაზრის ერობას: რამოდენიმე დღის წინად ერობამ მიიღო მთავრობისგან 3 მილიონი მანეთი და ამ ფულიდან 860. 000 მისცა სოფ. ყურიათუბანში ტყეში აშენებულ სახლში. საქმის ვითარება ასეთია: ამ ხუთმეტიოდე წლის წინად ყოფილმა მემამულემ სულხან ჭავჭავაძემ ს. ყურიათუბანში სოფლიდან, წყლიდან და გზიდან მოშორებით, ტყეში ააგო ორ სართულიანი დიდი შენობა (13 ოთახით), მაგრამ დამთავრება ვერც კი მოასწრო, რომ გადასახლდა თბილისში და სახლი დარჩა თელავის მაზრაში მოიჯარეში ყაჩაღებს. ვისაც კახეთში გაუვლია შარა თუ რკინის გზით თელავისაკენ, უსათუოდ შენიშნავდა ყურიათუბნის პირში განცალკევებულად—მდიდრულად გადმომყურე ლამაზ შენობას. სამწუხაროდ ეს შენობა უკვე 10 წლიწადია ფუჭდება, რადგან აქა—იქ წყალი ჩადის და მოითხოვს საფუძვლიან, რემონტს.

და სწორედ ეს სახლი შეისყიდა თელავის მაზრის ერობამ 860 ათას მანეთად. მაგრამ ყველაზედ ახირებული ის პირობებია, რომელშიაც ამ სახლის შეძენა მოხდა.

1918 წელს, დეკრეტის ძალით ამ ჭავჭავაძეს ჩამოართვეს მამულები და მან ნორმაში აიღო მხოლოდ ვენახები (7—დეს.) ხოლო სამოსახლო ადგილზედ უარი სთქვა, რადგან დაარწმუნეს: სახლი შენს საკუთრებად რჩება და სასახლის ადგილი იჯარით აღება შეგიძლია ხოლო ნორმათ კი შემოსავლის მხრივ ვენახების აღება გირჩევნიათ. სამწუხაროდ, მალე განმარტეს დეკრეტი, რომ ფონდში გადასულ მიწებზე რაც კი შენობებია, ისიც ჩამორთმეულად ითვლება და სახელმწიფო კუთვნილებას შეადგენსო, ამ რიგად, ჭავჭავაძეს სახლიც ჩამოერთვა და ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იგი თელავის მაზრის ერობის განკარგულებაში იყო. მაგრამ სახლის საჭიროება და გამოყენება არც ვისმეს მოჰგონებია და არც თუ ვინმე მის შეკეთებაზე შეწუხებულა. სახლი კი თან და თან ფუჭდებოდა... წრევანდელ წელს ჭავჭავაძემ საცდელად მიჰმართა მიწად—მოქმედების სამინისტროს იქნება ეხლა—სახლი დამიბრუნოთ და სანაცვლო ვენახი ჩამომართვათო, ე. ი. ნორმა ხელახლად ამარჩევინეთო. მიწად—მოქმედების სამინისტრო თავის მხრივ შეეკითხა სამაზრო ერობას, ხოლო რადგან ერობას ნორმის შეცვლის წინააღმდეგ არაფერი აღმოაჩნდა, სამინისტრომ მისცა სამაზრო ერობასვე წინადადება, ფორმალურად შეესრულებინა სახლის დაბრუნება და ვენახის ჩამორთმევა.

სამაზრო ერობამ ნორმის შეცვლა თა-

ვის მიწის გამნაწილებელ კომისიის საშუალებით შესრულდა წარსულ ივნისის ბოლო რიცხვებში რაკი ჭავჭავაძემ სახლი ჩაიბარა აქტით და გახდა მისი ხელახალი პატრონი,—მოისურვა მისი გამოყენება—მაგრამ რაკი იცოდა ის ადგილი და ის სახლი (მით უმეტეს თუ არ შეკეთდებოდა) უგზოთ, უწყლოთ არავის გამოადგებოდა,—მან არჩია მისი გაყიდვა და მიჰმართა კახელ მევენახეთა კავშირთა კავშირის გამგეობას, რომელსაც სარდაფის, სათიურის (ამერიკული ვაზის ნამყენებისთვის) და სხვა შენობებისთვის მუკუზანში სჭირდებოდათ მასალა. კავშირთა კავშირის ხელმძღვანელები წინასწარ შეეკითხნენ თელავის მაზრის ერობის გამგეობას არავითარი დაბრკოლება არ არის თქვენ მხრივ სახლი რომ გაიყიდოსო—რაზედაც მიიღეს პასუხი რომ სახლი თავისუფალიაო. ამის შემდეგ კავშირთა კავშირმა შეიძინა სახლი დასანგრევათ.

მხოლოდ ამის შემდეგ, ივლისის ნახევრებში, ე. ი. ჭავჭავაძისთვის სახლის ჩაბარებით ან სულ 2–3 კვირის განმავლობაში, თელავის მაზრის ხმოსანთა ყრილობა დღიურ წესრიგს გარეშე ადგენს: „აღნიშნული სახლი შეძენილ იქმნეს და თუ მორიგებით არა ძალით ჩამოერთვას, ხოლო შეთანხმების თუ რეკვიზიციის შესრულებამდე ყურიათუბნის თემის გამგეობას დაევალოს ნება არ მისცეს არავის სახლის დანგრევისა“—ო.

აღსანიშნავია, რომ ყრილობას სრულიად არ გაუთვალისწინებია რა ღირს სახლი, რომ რას სჭირია დღესვე შეკეთება რაც ღირებულების გარდა არა ნაკლებ 1 მილიონ მანეთს დაისაჭიროებს, არ გაუთვალისწინებია რისთვის შეიძლება გამოდგეს ეს შენობა უწყლოდ და უგზოდ. ერთი სიტყვით, არავითარი გეგმა ან ხარჯთ-აღრიცხვა არ წაუმძღვარებია და მხოლოდ დაუდგენია „ნებით თუ ძალით შეძენილ იქმნეს“.—ო

კავშირთ-კავშირის გამგეობამ, როცა გაიგო ეს ამბავი, თვითონ მიჰმართა სამაზრო ერობას, საკითხის გამოსარკვევად და განუცხადა, რომ თუ ერობას ეს სახლი ესაჭიროება თანახმაა დაუთმოს მას თავისი ფულის მიღების უმალ, რაზედაც ერობაც დასთანხმდა. ამ გვარად, ერობამ მიიღო მთავრობიდგან 3 მილიონი მანეთი და 860.000 მისცა სახლის ღირებულება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თვით სასახლე ადგილიც ეხლა ჭავჭავაძისაა და ერობამ ეს ადგილიც უნდა შეიყიდოს ამ სახლის გარდა სხვა შენობებიც. სასახლე ერობა უკანვე აძლევს ჭავჭავაძეს ჩამორთმეულ ვენახს და უნდა შეისყიდოს მორიგებით სხვა შენობაც, რომელიც სახლთან არის და უკვე შეუფასებიათ 580000 მან. მაგრამ არც ამით თავდება საქმე: თუ ერობა გადასწყვეტს ეს სახლი რისთვისმე გამოიყენოს,—მას დღესვე სჭირია საფუძვლიანი შეკეთება ღირებული მილიონ ნახევრად მაინც. ამას გარდა, საჭიროა წყალის გამოყვანა და გზის გაკეთება სახლთან მისასვლელად და არც ეს დაჯდება მილიონ ნახევარზე ნაკლებ მერე რისთვის უნდა დაიხარჯოს ფული რესად დავალიანებულ და გასაჭირში მყოფ ახალგაზრდა სახელმწიფოს 4-5 მილიონი მანეთი? როგორ შეიძლება ასე მოუფიქრებლად, უგეგმოდ, უგზოდ, ყრილობაზედ შემთხვევით წამოყენებულ წინადადების მიხედვით 4 5 მილიონის გაღება?.

კერძო საუბარში ერობის გამგეობა გვარწმუნებს, რომ აქ შეიძლება სკოლა ან სანატორიუმი ან კიდევ სხვა რამ გაიმართოსო, თითქო ამისთვის მარტო კედლები იყოს საჭირო და საკმარისი. სკოლაში ტყეში სოფლიდან 2-3 ვერსის მანძილზედ არავინ ივლის და თუნდაც იაროს, სოფელს 4-5 მილიონი რომ ერთ სკოლაზედ დაეხარჯოს მთელ მაზრას ან სახელმწიფოს რა უნდა დაეხარჯოს ამ საქმეზედ?

„სანატორიუმი“ ხომ პირდაპირ სიცილს მოჰგვრის კაცს: ციებ-ცხელებიან ადგილას უგზო უკლოდ, მოუწყობელ ცხელ სოფელში სანატორიუმი?:.. ისიც ახტალიდან 10 ვერსის მანძილზე? ეს ხომ სასაცილოა;...

თუნდაც გადავსწყვიტოთ, რომ ყოველ მაზრას და ყოველ სოფელს უნდა თავისი სანატორიუმი ჰქონდეს, გამოკვლეულია მაინც ერობის გამგეობამ ვარგა თუ არა, რამდენად შესაფერია ეს სახლი სანატორიუმისათვის? ან რა თანხებია საჭირო საზოგადოდ სანატორიუმის მოსაწყობად? ან რაზედ ჰფიქრობდა ერობა იმ ორი წლის განმავლობაში, მანამ სახლიც და ეზოც მას განკარგულებაში იყო? რისთვის ჩააბარა ჭავჭავაძეს სახლი დადგენილების 2-3 კვირის წინად?

მეზობელი.

## ილია წინამძღვრიშვილი

გამოსალმება.

7 ენკენისთვის თავის სამშობლო სოფელში, წინამძღვრიანთ — კარში პატარა გორაკზე აყრილ ხეების ქვეშ, თავის ნაამაგარ მამულში, შავს მიწას მიაბარეს ორმოცი წლის საზოგადო მოღვაწეობის შემდეგ ილია წინამძღვრიშვილი. თავას მამულიდან წილად ერგო მხოლოდ სამი ადლი მიწა; იგი არ უჩივის ბედს, აქედან დაუგდებს ყურსა თავის სკოლის ბავშების ჟღივილ-ყვირილსა, აქედან მოისმენს მძიმე ულელში შებმულ მასწავლებლის ბავშვებთან ალერსს, მეცადინეობას.

ილია ხომ მზრუნველი იყო სკოლისა. სამწუხარო მხოლოდ ისა აქვს, რომ ჩამოშორდა თავის ილიას, გვერდზე აღარა ჰყავს იაკობ გოგებაშვილი, ოქრომჭედლიშვილი, მიხ. ბეჟუთაშვილი, ნიკ. ცხვედაძე და სხ., რომელთანაც ტრიალებდა ცხოვრებაში როგორც ერთს ოჯახის შვილებთან. ვინც კი ყოფილა წინამძღვრიანთ კარში და დაუთვალიერებია სკოლის შენობები, საყდარი, მუზეუმი, ბიბლიოტეკა, სახელოსნოები, მარანი, ვენახი, ხილის ბაღი და სხვა მოწყობილებანი სკოლისა და სამეურნეო ნაწილის განყოფილება, უეჭველია სიამოვნებით გული გაეშლება და მადლობას შეუთვლის ძლიერს მოჭირნახულე ილიას. ოცდაათ წელზე მეტი შესწირა ილიამ სკოლის ორგანიზაციას, მის მოწყობა—განმტკიცებას. მართალია, თბილისში მომრიგებელ მოსამართლეთ იყო, მაგრამ ყოველ თავისუფალ დღეს, ყოველს შაბათს-კვირას დასვენების ნაცვლად იგი მიეჩქარებოდა სოფელში, რომ დაეთვალიერებინა სკოლა, გაეცნო როგორ მიდიოდა საქმე სკოლაში, როგორი მუშაობა იყო ბაღში და ვენახში. აღსანიშნავია ის, რომ მისგან დაარსებული სკოლა პირველი იყო საქართველოში, საცა ყველა საგნებს სწავლა ქართულად უნდა ყოფილიყო, მაშინდელი კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი წინააღმდეგი იყო ილიას სკოლის პროგრამისა და ვინ იცის, იქნებ დაეხურა კიდეც, რომ ილიას მისი მეზობელი მემამულე დიმ. სტაროსელსკი არ გამოჰქომაგებოდა.

თუ რა ნაყოფი გამოიღო ამ თავგანწირულებამ, უკვე ვიცით: ილიას სკოლამ მრავლად აღვიზარდა საზოგადო მოღვაწენი და მეურნენი. მისი გამოსვლა ისეთს დროს მოხდა, როდესაც ქართულ საზოგადოებაში ქართულად ლაპარაკი საძრახისი იყო და აი, ილიამ თვის სკოლით შემოანათა და მთელი თაობა სუფთა ქართულ ენაზე ლაპარაკობს.

მაგრამ სწავლა ილიასთვის მარტო ენის გამშვენიერება კი არ იყო, არამედ თვით ცხოვრების ნივთიერად მოღონიერება, ამიტომ აქ უფრო პრაქტიკული ცოდნა სჭარბობდა. მებოსტნეობა, მეღვინეობა, ევროპიულად მარნის მოწყობა, ამისთვის საჭირო იაფ ფასიანი წიგნაკების გამოცემა, რისთვისაც იგი თავის საკუთარ ჯიბიდან იღებდა ფულს. ერთი სიტყვით, რაც ილიას სკოლისა და საზოგადოებისთვის შრომა გაუწევია, ის რომ პირად ბედნიერებისთვის დაეხარჯნა, უეჭველია, დიდ ქონებას დასტოვებდა, მაგრამ არც ამაზე უჩიოდა ილია ბედს—მისთვის ისიც ჰკმაროდა, რომ ბედმა არ გასწირა და თავის ამხანაგების ოცნებანი და ნეტარი სიზმრები სამშობლოს თავისუფლებაზე აუცხადდა, გულში ჩაიკრა იგი სვიმეონ მიმრქმელისავით და ნეტარი „აწ განუტევე მონა შენი მეუფეო“-ს ჩურჩულით ჩავიდა და დაემკვიდრა თავის ნაამაგარ სკოლის პირდაპირ.

მშვიდობით, კეთილო მოღვაწეო ადამიანო! თუ აქნობამდე შენ უვლიდი ხალხსა და სკოლას, ახლა ეგ სკოლა და შენ მიერ აღზრდილი მოწაფენი სათუთად მოუვლიან შენს ნეტარს საფლავს. როდესაც შენი საყდარის ზარი მოჰფენს სოფელს თავის ხმას, ეს ხმა იქნება შენი და ვიდრე შენი სკოლა და საყდარი თავიანთ დანიშნულებას ემსახურებიან, შენი ხსოვნა და საფლავი წმინდანათ იქნება მიღებული სოფლისაგანაც და ხალხისაგანაც...

ე. იოსელიანი.

# ჩვენი კორესპონდენტები

## სოფ. კარბი.

(გორის მაზრა)

სოფელი კარბი მდებარეობს პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სოფელი ქართლის ორ შესამჩნევ სოფელთა შორის მდებარეობს მერეთისა და ტყვიავის შუა, სადაც ასე თუ ისე კულტურული მუშაობა სწარმოებს, ამ სოფელს თითქოს სძინავს და მონაწილეობას არაფერში არ იღებს. დღემდე არ არსებობს ამ სოფელში არც კოოპერატივი, არც სამკითხველო, არც სასწავლებელი თუ რამ სხვა ასეთი დაწესებულება. მიზეზი, რასაკვირველია, ინტელიგენტი ძალების უქონლობაა, თუ ვინმე არის ამ სოფლელი, ის იქ არ მოდის და თავის ხალხის ჭირ ვარამს არ იზიარებს და თუ ვინე დარჩენილა ადგილობრივ, ისიც ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ამ სოფლისათვის ძალიან იშვიათია გაზეთი თუ რამ სხვა წიგნი, თუ გაიგებენ რამეს, ისიც შემთხვევით, სხვა სოფელს თუ მოჰკრეს ყური რამეს. უეჭველია ასეთ ყოფაში ჩავარდნილ სოფლის ერთად ერთი პატრონი იქნება უვიცობა და მისი ხელმძღვანელი მკითხავ-ექიმბაშები. შარშან, როდესაც ასე საშინლად მძვინვარებდა წინწკლებიანი სახადი, კაცი არ იყო, რომელიც შესაფერ დარიგებას მისცემდა ხალხს, ამ ავადმყოფობის შესახებ და ხალხიც თავის ჭკუით უვლიდა ამ სენს. არ იყო არც მორიდება, არც ხეირიანი მოვლა, რასაც შედეგათ მოჰყვა აუარებელი მსხვერპლი და სოფელს ბევრი მარჯვენა მართალი მუშა მოსწყდა. ნუ ეგონება ვისმეს, რომ ამ სოფელს არ შეეძლოს ან სასწავლებლის, ან ექიმის შენახვა. მართალია, სოფელი პატარაა, მაგრამ ყოველთვის მოსავლით სამყოფი წლის სარჩო და ხილის ბაღები კი შემოსავალსაც აძლევს. საჭიროა ასეთ უხმო სოფლებს ერობებმა მეტი ყურადღება მიაქციონ და თუ მუდმივათ არა წელიწადში რამდენჯერმე მაინც გაგზავნონ (სანამ მუდმივ ექიმ ფერშალის ყოლას შესძლებდეს.) სპეციალისტები ლექცია—საუბრის მოსაწყობათ სხვა და სხვა საკითხებზე, როგორც ავადმყოფობაზე, ჰიგიენაზე და სხვა. იმედია ერობა ამას შესძლებს და ერთი ორი ქართველი კიდევ შეემატება საქართველოს რესპუბლიკას.

დუბიანელი.

## შორაპანი.

არა მგონია, რომელიმე სხვა მაზრაში ისე აბუჩად იყოს აგდებული მასწავლებლობა, როგორც შორაპნის მაზრაშია. ყველას კარგათ მოეხსენება რა გაჭირვებასაც განვიცდით მატერიალურად. 4000 მ. ხომ სამი ფუთი სიმინდის ფასია და აბა გავსინჯოთ თუ ეყოფა ყველაფრად მასწავლებელს 3 ფუთი სიმინდი. რითი უნდა გამოჰკვებოს ათასგვარ გაჭირვებაში მყოფმა მასწავლებელმა თავისი ოჯახი? ტანისამოსზე, განვითარებაზე და თეატრებში სიარულზე ხომ ოცნებაც ზედმეტია. შეიძლება ესიზმროს მასწავლებელს ესენი თორემ ცხადათ ტანისამოსის შეკერვა, წიგნების შეძენა და სადმე საღამოზე დასწრებას ვერ ეღირსება. შეიძლება კიდევ შერიგებოდა მასწავლებელი სიმშილ-სიტიტვლეს, რომ მისი უფლებები მაინც არ იყოს შელახული. სამაზრო ერობა ნაკლებად უწევს ანგარიშს მოზარდი თაობის აღმზრდელ მასწავლებლობას. რად ავიწყდებათ, რომ თვითონ ისინი სახალხო მასწავლებლების აღზდილი არიან. დედის მუცლიდან გამგეობის წევრებად ხომ არ დაბადებულან? რათ ავიწყდება ერობის თავმჯდომარეს, რომ ის ერთ დროს ჩვენ ტაფაში იწვოდა? რათ ლახავს მასწავლებელთა უფლებას? მინდა შევეკითხო მათ, პედაგოგიური საბჭოები არის თუ არა ანგარიშ გასაწევი? .. თერჯოლის მაღ. დაწ. სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ ერთ ერთი მოწაფის შესახებ დაადგინა, რომ როგორც ცუდი საქციელის მქონე დათხოვნილ იქმნას სასწავლებლიდან. სამაზრო ერობა კი ფიცხელ მოწერილობას გვიგზავნის: „დაუყოვნებლივ დაუბრუნეთ სასწავლებელს მოწაფეო“. ნუ თუ, ჩვენი უფლებების შელახვა არ არის ეს? პედაგოგიურ საბჭოზე ამ საქმესთან სამაზრო ერობა უფრო ახლოს იყო?

გადავხედოთ ახლა ინსტრუქტორებსაც. ყველა დამეთანხმება, რომ ინსტრუქტორი სათანადო განათლებით, კარგათ მცოდნე საგნებისა და მაგალითის მაჩვენებელი მასწავლებელია. აქვს ასეთ რამეს ადგილი ჩვენში? არა აქვს. ინსტრუქტორს პარტიულად გვინიშნავენ, თითქოს სკოლები სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები იყოს. დიაღ! ნუ შელახავთ მასწავლებლის უფლებებს მიეცით მას საზრდო და მაშინ ნახავთ თუ როგორ გაუძღვება იგი სკოლას და სოფელს.

ვ. გუთნისპირელი.

## ივრის ხეობიდან.

სოფ. ახბულახში გავრცელდა ხმა, რის თემის გამგეობამ სართიჭალიში თოფილით დატვირთული ურმები ჭირა და თბილისში აღარ უშვებსო. ამბავმა ძლიერ დაადონა ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელნიც განმზადებული იყვნენ ქ. თბილისში წასასვლელად. გამოიწვია ესეთი განკარგულება? ლობრივი თემის გამგეობის ქონიან ეს, თუ უმაღლესი მთავრობის განკ ხვანი? ვისთვის რა საჭიროა ათას თობით დაგროვილი კართოფილი პატარძეულში, ახბულახში და ნინო დაში?! უმჯობესი არ იქნება თბილისს მივაწოდოთ? კართოფილი თ სურროგატია რომელსაც სიცი ეშინიან და სითბოსიც. ჩვენი ინახავს კართოფილს იმდენს, რამდ თითონ დასჭირდება საჭმელად თესლედ. ზედმეტი კართოფილი გაყიდოს, მოიშოროს. კართოფილ რეთ გატანის აკრძალვით ჩვენ გაჭირვებაში ვაგდებთ, განგებ დას უკეთებთ ქ. თბილისს, როგ მტრის ქალაქს და სპეკულიაციას ხსნით. თუ მთავრობას თითონ შეიძინოს კართოფილი, ინებეთ ნო, გამოგვიგზავნეთ კოოპერატ მარილი, ფართალი და ჩვენ კარტოფ დაგიმზადებთ, თორემ ბონებს, როგ დაწუნებულ ფულის ნიშნებს, ალარ იღებს. როგორც აბაშეთში ფულის გიერობას მარილი ეწევა, ისე ჩვ პური. რომ გვინდოდეს რისიმე შე დღეიდგან ჯიბით და ზურგით უნდ ტაროთ ხორბალი.

ჩვენს ხეობაში ორი თემის გამგ არსებობს: ივრისა და საგარეჯოსი. ჯობესი იყო ეს თემები შეერთებ ყვნენ და მოესპოთ თავიანთ შორ ყოველივე უსიამოვნება და მეტოქ საგარეჯოს თემის გამგეობაში თავმჯ მარეთ იმყოფებოდა აგრონომი მჭედლიშვილი, კაცი ენერგიით სავ კარგი მცოდნე ადგილობრივი ვით ბისა და საქმეებისა. სამწუხაროდ აღინიშნოს, რომ მან სამსახური დაანება. აქ ისეთი ატმოსფერა ჰსუ რომ გარეშე გაბატონებული პარტ სხვას არავის შეუძლიან სამსახური.

ნინოწმინდელ

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხ. კედ

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათ
მიხეილ გედევანიშვილ
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 ს
არის საწოლები. ყორღანოვის ქ.
ვერაზე. 3102.

# რუსეთის პრობლემა და კავკასია

5.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კავკასია ჩვენ ჩავაბარეთ რუსეთს.

კავკასიონის ქედს არწივნი ვერ გადაევლებიან, და, რასაკვირველია, რუსის დათვი მით უმეტეს ვერ გადმოლახავდა. დარიალის ხევში იყო საქართველოს ციხე „ხევის კარი“, რომლის დამცველად მთიულეთლები სრულიად საკმარისი იყვნენ და იცავდნენ კიდეც, მაგრამ ბრძანა საქართველოს მეფემ და არა თუ გადმოუშვეს რუსები, ძალით გადმოიყვანეს. საქართველო ჩააბარეს რუსებს ქართველ მეფეებმა და მთავრებმა, ხოლო საქართველოს თავადმა ციციშვილმა დაიპყრო, დაუმორჩილა რუსეთს განჯა, ერევანი, ბაქო და სხვა სახანოები ამიერ-კავკასიაში, როგორც მოხარკენი საქართველოს მეფის ერეკლე მეორესი.

ქართველებს შეეძლოთ გაემაგრებიათ ხევის კარი და არ გადმოეშვათ რუსები, მაშინ გადამთიელებს: ჩერქეზებს, ჩაჩნებს და ლეკებს ზურგი გამაგრებული ექნებოდათ, ხოლო რუსეთთან მტრულად განწყობილი ევროპა კავკასიელებს მიაწვდიდა საუკეთესო იარაღსა და ტყვია წამალს, და დღემდე რუსეთს ექნებოდა „დაუსრულებელი ომი დაუდგრომელ მთიელებთან“. მაშინ კი რუსეთი დიდი იმპერია კი არ იქნებოდა; რუსეთი უკავკასიოთ იქნებოდა საბრალო მოსკოვის სამეფო.

კავკასიის შემოერთებით რუსეთი უცბად გარდაიქმნა ძლიერ იმპერიად აზიაში და აღმოსავლეთ ევროპაში, და ეს კი ჩვენ მივანიჭეთ, ჩვენ გამოვიყვანეთ კაცად, მაგრამ ჩვენა მადლობა გადაგვიხადეს რუსებმა? პირიქით, მადლობის წილ რუსებმა ჩვენ ყველა კავკასიის ერებზე უფრო შეგვიძულეს. უთუოდ გაბოროტებული იმით, რომ, რაც უნდა იყოს, მაინც ჰგრძნობდნენ დავალებას. ამის გასაბათილებლად დევნა დაგვიწყეს.

საქართველომ კავშირი შეჰკრა რუსეთთან 1783 წ. ხელშეკრულობით, მაგრამ ტრაქტატის პირობების განგებ არ ასრულებდა რუსეთი, და გარდა ამისა ერეკლე მეფე ორი გზის ომში ჩაითრიეს. თვითონ რუსეთი მტერს გაურიგდა ჩვენი მეფის ზურგს უკან, და საქართველო გააფთრებული მტერს დაუგდო უმწეოდ.

ეს იყო საქართველოს დასასუსტებელი ხრიკები. შემდეგ, როცა ერეკლე მეფე გარდაიცვალა, როცა რუსეთმა საკმაო ჯარი თბილისში შემოიყვანა, უცბად დაიწყეს თავისებური ბატონობა და ბრძანებლობა. უწინარეს ყოვლისა მეფის მემკვიდრენი და შთამომავალნი მოსწყვიტეს, რუსეთში გადაასახლეს, და საქართველო მით მთლად შეუერთეს რუსეთს, მოახდინეს ინკორპორაცია. ამის შემდეგ მიჰყვეს ხელი საქართველოს განადგურებას. შეცვივდნენ ეკლესიაში, კათალიკოზი ანტონი რუსეთში გადაასახლეს, და მის მაგიერ გვიგზავნიდნენ თავიანთ გახრწნილ ბერებს ეგზარხოსებად ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობა მოსპეს, მათმა წაჰილწულმა ბერებმა გასცარცვეს ჩვენი ტაძრები და მონასტრები, ქვეყნის მტარვალები შემოჰრევია საქართველოს, მაგრამ იმათაც არ გაუნადგურებიათ ასე სისტემატიურად ჩვენი ეკლესია, როგორც მაგათ. თვით რუსეთსაც არ დაუნგრევიათ სხვისი ეკლესიები,-კათოლიკებისა, სომხებსა, მუსულმანებსა და სხვა ეკლესიები ავტონომიური უფლებებით სარგებლობდენ, მხოლოდ ჩვენ დავჩაგრეს. თავს იმართლებდნენ იმით, რომ ჩვენი ეკლესია მართლმადიდებელია, როგორც რუსების, და ამიტომ საჭიროა შეერთებაო, მაგრამ რუსეთში არსებობდა ბერძნების მართლმადიდებელი ეკლესია და იქ რუსები არ შეჭრილან. ამ უზნეობას თავის საუბედურო შედეგი მოჰყვა,—სამღვდელოება გაიხრწნა და ხალხში თანდათანობით გავრცელდა სარწმუნოებისადმი ინდიფერენტიზმი.

ეკლესიის განადგურების. შემდეგ ხელი მიჰყვეს თავად-აზნაურობას. თავად აზნაურობა მეფის სასახლეს ეხვია, მეფეს შეელოდნენ ქვეყნის მართვაში და მოვლაში. როცა მეფობა მოისპო, თავად-აზნაურობა დაიბნა და გაიხიზნა სოფლებში, თავის მამულებში. იმათი სახლკარი თბილისში რუსის მთავრობამ უმთავრესათ სომხის ვაჭრებს გადასცა. 300 კომლი სომხები ჩამოასახლეს თბილისში ერევნიდან. სისტემად იყო მიღებული, რომ ქართველების ანგარიშზე სომხები გაემდიდრებინათ და გაეძლიერებინათ. თავად-აზნაურებს შემდეგ ჯერი მიდგა გლეხობაზე. შემოიღეს თავიანთი „крепостное право“ და შეჰბოჭეს ჩვენი გლეხობა. ცნობილია, რომ ყველა ევროპის ქალაქები სოფლებიდან გამოქცეულ ნიჭიერ და ენერგიულ გლეხებისგან გაშენებულია. ჩვენში რუსების შემოსვლამდე პატარა ქალაქები იყო, მათი ზრდა იწყება რუსეთის მთავრობის დამყარების შემდეგ. ამდროს კი ჩვენი გლეხობა შეჰბოჭეს და ქალაქები დარჩა სომხებს და სხვა არა ქართველებს. მაგრამ თავად-აზნაურობა სოფლებშიაც არ დაუყენეს. დაინიშნა თუ არა კავკასიაში ნამესტნიკად (ეს საყურადღებოა,—საქართველოს სახელი მალე მოსპეს და გასთქვიფეს კავკასიაში), მაშინვე მიჰმართა თავად აზნაურობას, დაუწყო პატიჟი, რაუტები, ბალები, ნადიმები. ისინიც აჰყვნენ. როცა ფული შემოაკლდათ, ნამესტნიკმა მამულები „პრიკაზში“ დააგირავებინა, ამან კი თავად აზნაურობის სიმდიდრე გაანადგურა, ყველანი გაალატაკა და დაამცირა.

ერეკლე მეფის დროს საქართველოში სკოლები და იყო სემინარიები, ეს მოსპეს რუსებმა, და ახალი გიმნაზიები შემოიღეს მხოლოდ სამოცი წლის შემდეგ. რაც შეეხება მაღალ სასწავლებელს, რუსეთი ისე გაიპარა კავკასიიდან, რომ ჩვენ ეს მაღალი სასწავლებელი არ გვაღირსა.

არ გვაღირსეს ერობის თვითმართველობა, რადგან ეს ქვეყანას გაამდიდრებდა და ააყვავებდა. იმის წინ გვიგზავნიდნენ პოლიციელებსა და ჟანდარმებს პროვოკაციის გასამრავლებლად.

საქართველო 1783 წ. ტრაქტატით იყო დაკავშირებული რუსეთის იმპერიასთან, მაგრამ რუსეთმა ყველა მუხლები ამ ტრაქტატისა დაარღვია შემოსვლისათანავე, გარდა ერთისა: ეს იყო მტრისაგან დაცვა. ამას რუსეთი პატიოსნად ასრულებდა ინკორპორაციის შემდეგ. მაგრამ იმიტომ, რომ იცავდა თავის საზღვრებს და არა საქართველოს. ასე იყო 1917 წ. ზაფხულამდე. ამ დროს კი რუსეთმა ნგრევა დაიწყო, მათმა მეომრებმა დაუგდეს კავკასიის ფრონტი, და შინ გაიქცნენ, მთელი რუსეთიც გაპარა კავკასიიდან.

ამ დროიდან საქართველო თავისუფალია რუსეთთან ყოველი ხელშეკრულობისაგან, და თავისუფალი საქართველო კი არის დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო. ასე ყოფილა ათასი წლობით, და ასე იქნება უკუნისამდე. მთელმა რუსეთმა ეს მტკიცედ უნდა დაისწავლოს.

ეხლა ვიკითხოთ, როგორია რუსული აზროვნება?

6

როგორია ისტორია რუსულ აზროვნებისა?

ამისათვის საჭიროა მივმართოთ რუსეთის ლიტერატურას; საუკეთესო ხელმძღვანელი ჩვენთვის იქნება ისევ ის წიგნი, რომელიც უკვე დავასახელეთ: „რუსულ ლიტერატურის ფილოსოფია“ ანდრეევიჩის ფსევდონიმით გამოცემული. ავტორი ამბობს, რომ რუსული ლიტერატურის უმთავრესი იდეა დღიდან მისი გაჩენისა, ე. ი. რადიშჩევიდან დაწყებული უკანასკნელ დღემდე, იყო აბსოლიუტიზმი, თავისუფლებისათვის ბრძოლა; მაგრამ იქვე დაურთავს ავტორი: ჩვენ ევროპის თავისუფლება ვერ შევითვისეთ, რადგან ევროპის თავისუფლება წარმოშობილ იყო ევროპის მეცნიერებისაგან და ეს მეცნიერება კი ჩვენ არ გვწამდა, და თუ შემოუშვებდით, ცოტ- ცოტაობით, როგორც აუცილებელ ჭირსაო. ამასვე ამბობს ჩერნიშევსკი, უდიდესი რუსის პუბლიცისტი და სოციოლოგი, ერთად ერთი ნამდვილი სოციალისტი და ნამდვილი დემოკრატი მთელს რუსეთში: რუსის ხალხს თავისუფლება არ უნდაო. ეს ნამდვილი სოციალისტი და ნამდვილი დემოკრატი ისე არ უყვართ რუსებს, როგორც ჰერცენი. ჰერცენი ყველა მიმართულების რუსს უყვარს იმისთვის, რომ ის იყო ნამდვილი რუსი. თუმც მთელი თავისი სიცოცხლე ევროპიზმისათვის იბრძოლა, ნახევარი ცხოვრება ევროპაში გაატარა ემიგრანტად, მაგრამ რუსმა თავისი სულის კვეთება მაინც ვერ დამალა, მოსძაგა ევროპის ბურჟუაზიას გინებას და ჰლამობდა მუჟიკთან გაესწორებინა და ტალახში მოესვარა. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ევროპის მეცნიერება და ცივილიზაცია შეუქმნია ევროპის ბურჟუაზიას.

რუსეთში პეტრე პირველიდან ორი მიმართულება გაჩნდა: ერთი ევროპის მიმბაძავი, მეორე კი ევროპის მტერი. ეს ორი მიმართულება მე-19 საუკუნის ლიტერატურაში გადავიდა სლავიანოფილური და დასავლეთურის (ევროპიული) სახ ლით. გლეხების განთავისუფლების შემდეგ გაჩნდა რევოლიუციური პარტია „ნაროდნაია ვოლია“ ს დევიზით: „Земля и Воля“, მაგრამ თავისუფლება, როგორც ვთქვით, რუსის ხალხს არ უნდოდა, და მიწა კი მოასწავებდა ძარცვა-გლეჯას. თუმც ესენი ევროპიული მიმართულებისა იყვნენ, მაგრამ რუსების თემს, „ობშჩინას“ (Община) ძალიან პატივს სცემდენ. ამ დაწესებულებას მთელი რუსეთი დიდი იმედით უყურებდა. იუჟაკოვი სწერდა 1885 წ. რუსეთისა და ინგლისის გადაკიდების თაობაზე კუშავის შესახებ: „რუსეთი მოერევა ინგლისს, რადგან რუსის ხალხს აქვს ობშჩინაო“. მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ „ობშჩინა“ ყოფილა ნაშთი პირველყოფილი კომუნისა, და ისიც რუსის ერს კი არ გამოუგონია, მათთვის მოუხვევიათ მებატონეთა და მთავრობას გადასახადის აკრეფის გასაადვილებლად. ამიტომ გაკოტრდა ობშჩინა და გაკოტრდა და განადგურდი ნაროდოვოლცების პარტია. ოთხმოციან წლებში კატკოვმა სასტიკად დაამარცხა ჰერცენი. ოთხმოცდა ათიან წლე... ფეხი მოიკიდა რუსეთში მარქსიზმმა, ...რქსისტებმა მოაწყეს 1905 წ. მოძრ... ბა. მაშინ ისევ თავი წამოჰყვეს ნა... დო ვოლცებმა ეს—ერების სახელით ... სახელი მოიხვეჭეს ტერორისტული ... ტებით. ჩვენ ვიცით, რომ 1905 წ. ... ძრაობა სასტიკად დამარცხდა. დამარ... და იმიტომ, რომ... მაგრამ მოუსმინ... ისევ რუსის გამოჩენილ პიროვნებას. ... რველი „Дум“-ის წევრი იყო ... სის პროფესორი ისტორიკოსი ... კოშკინი, კ.-დ.- პარტიისა. ვიბორ... პროტესტზე, განაცხადა: „კ.-დ.-ტს... ტიას ეგონა, რომ რევოლიუცია ... ოდ მავნეა და სცდილობდა მის ... ნას; მე როგორც ისტორიკოსმა, ... ვაღიარო, რომ ეს შემცდარი აზრია, ... რამ არც რუსის ერს, არც რუსის ... ტელიგენციას, არც რუსის საზოგად... ბას არა აქვს ნიჭი და უნარი რევო... უციის შექმნისო. დამარცხდა იმიტ... რომ რუსის ერს არ უნდოდა, რუ... საზოგადოებას ვერ შეეთვისებინა თა... სუფლება.

ეხლანდელს რუსეთის ნგრევაში ... მარჯვა უკიდურესმა პარტიამ, ბოლ... ვიკებმა; დამარცხდა სასტიკად მენშ... კები და ეს-ერ-ები, იმიტომ რომ, ... გორც ჩვენ თავშივე აღვნიშნეთ, რუ... ერს სძულს ევროპის მეცნიერება და ... ვილიზაცია. რუსეთის ბოლშევიზმი ... ვ სებურია; მისი ორგანიზაცია წააგ... კაზაკების ორგანიზაციას. ისეთივე ... ჩალური სამხედრო წესწყობილება ... ისეთივე ძარცვა-გაგლეჯა გარედ და ... ნით, უფრო თავაშვებული. ეს არის ... ბოხება ან „ბუნტი“ რუსეთისა ევ... პის ცივილიზაციის წინააღმდეგ, მის ... სამხობად. ბოლშევიკებმა გაანადგურ... ინტელიგენცია და ბურჟუაზია, ხოლო ... ტელიგენციას მოაქვს ქვეყნისათვის ... ნათლება, და ბურჟუაზია ჰქმნის ყ... ლივე ღირებულებას, სიმდიდრეს. ... ვალი პერსპექტივა კი ასეთია: რუსებ... მთლად უნდა გავარანდეს და გატ... დეს...

ბ. გ.